სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარასკევი 21 ივნისი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. სასწრაფო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დღის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შეიძლება ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 127 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 127

საქართველოს ეროვნული საბჭოს სოციალისტ-რევოლიუციონერთა ფრაქცია და პარტიის საოლქო კომიტეტი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებსა და ნაცნობ-მეგობართ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი ამხანაგის

## ვლადიმერ გოგბერიას

დაკარგვას. პანაშვიდები ყოველ დღე საღ. 7 საათზე ქაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

გულ-დათუთქული დედა ბარბარე, ძმები: იოსები და ივანე გოგბერიები, დები: ნინო ჩხეიძისა და მარიამ სალონიკაშვილისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობარ-ნაცნობთ ვერაგულად მოკლულ ძვირფასი

## ვლადიმერ გოგბერიას

დაკარგვას. პანაშვიდები ყოველ საღამოს 7 საათზე, ქაშვეთის ეკლესიაში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2—1

ღრმათ დამწუხრებულნი მეუღლე ირინე, რძალი პელაგია, ძმისშვილები ნადია, ნინა, ანტონი, ვასილი, ალექსანდრე და სერგო აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს 22 ივნისს, ქალ. ოზურგეთში საკათედრო ტაძრიდან სოფ. ეწერის ეკლესიაზე მოხდება გადმოსვენება მტრის მიერ ვერაგულათ მოკლულის

## კონსტანტინე ყორყოლიანის

ცხედრის. იქვე გადახდილი იქნება პანაშვიდი. (2—1)

უბედური მეუღლე გულნარა, შვილები: შარტული, ვალოდია, შალვა, ხუტუნია, ელენე, გრიშა, ჩიტო და ნუცა, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს 22 ივნისს ხიდისთავის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება სამი თვის წირვა და პანაშვიდი ბათუმში ვერაგულად მოკლულის

## ალექსანდრე დიანოსის ძე კალანდაძის

სულის მოსახსენებლათ.

შაბათს, 22 ივნისს ქ. სიღნაღში ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, ბრძოლის ველზე გმირულათ მოკლულ პოლკოვნიკის

## გიორგი პავლეს ძე კოზმაშვილის

სულის მოსახსენებლათ. რასაც აუწყებს ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ გულ-მოკლული მისი ოჯახობა.

ქ. ფოთში, შაბათს 22 ივნისს, დილის 12 საათზე ადგილობრივ სასაფლაოს ეკლესიაში გარდახდილ იქნება გარდაცვალებიდან ორი წლის შესრულების გამო წირვა და პანაშვიდი ძვირფასი და დაუვიწყარი

## კონსტანტინე იაგორის ძე რუხაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობრებს ქვრივი ეფროსინე ილარიონის ასული და შვილი შალვა კონსტანტინეს ძე რუხაძეები.

ნინო ნიკოლოზის ასული და კონსტანტინე ირაკლისძე კალანდარიშვილი შვილებით, ნატალია ირაკლის ასული და ღვ. არისტარხო ნიკოლოზისძე კალანდარიშვილი შვილებით, ალექსანდრა ირაკლის ასული და ალექსანდრე დიმიტრისძე აბაშიძენი, თამარა ირაკლის ასული რედკინისა შვილებით, სიმონ ირაკლისძე კალანდარიშვილი, ეკატერინე დიმიტრის ასული და ისაკი ქაიხოსროსძე კალანდარიშვილი შვილებით, ევპრაქსია დიმიტრის ასული და სამსონი გიორგისძე კალანდარიშვილი შვილებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 23 ივნობისთვეს სოფელ კვირიკეთში მიცვალებულის სასაფლაოზედ იქნება გადახდილი ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულათ გარდაცვალებულ ძმების

## ირაკლი და მელიტონ ქაიხოსროს-ძე კალანდარიშვილების

სულის მოსახსენებლად. (2—1)

## განცხადება.

ჭიათურის ქალაქის თვითმართველობა საჩქაროთ იწვევს ქალაქის აფთიაქისთვის გამოცდილ და მცოდნე აფთიაქის გამგე პროვიზორს ბაქტერიოლოგს.

განცხადებები და დოკუმენტები გამოგზავნილ უნდა იქნას ქალაქის გამგეობის სახელზე 1 ივლისამდე.

სამსახურის პირობების გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობაში.

3—2 ჭიათურის ქალაქის გამგეობა.

ბ. ემმაკის მიერ შედგენილი, ქართული რუკა

## რუსეთ-ოსმალეთის ბრძოლის ასპარეზისა,

რომელზედაც მოთავსებული არის საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის რესპუბლიკის საზღვრები.—იყიდება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ წიგნის მაღაზიაში,

## გაზეთ „ე რ თ ო ბ ი ს" კანტორაში,

ჟურნალ-გაზეთების სააგენტო „განათლებაში" და პროვინციაში განათლების აგენტებთან თითო მანეთი, ბათუმში კი გიორგი ჩახარაძესთან თფილისი ალექსეევის ქუჩა № 1. (2—1)

## ახალი გზით

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ბევრი თავსატეხი საქმე გაუჩინა დემოკრატიას. არა თუ ნაციონალისტები ყველა მეზობელი ერებისა ახმაურდენ ჩვენს წინააღმდეგ, არამედ რიგი და რიგი ჩვენი ამხანაგებისა, ვითომდა სოციალ-დემოკრატიის და მარქსიზმის სახელით დიდი პროტესტით შეხვდენ ამ ნაბიჯს, რომელიც ისტორიის ულმობლობამ ასე აჩქარებულათ გადაგვადგმევინა.

არც ჩვენ გვყავით შეჩვეული ასე სწრაფათ საკითხის გადაჭრას. წინასწარი ხანგრძლივი მსჯელობა, პარტიულ ამხანაგების შეკითხვა, დისკუსია,—აი ყველა ის გზა, რომლის შემდეგ თანდათანობით ყალიბდებოდა პარტიული აზრი და ნიადაგი მზადდებოდა სათანადო მოქმედებისათვის. მარა რევოლიუციური ხანა არ დამთავრებულა. ელვის სისწრაფით ცვლის ერთი გარემოება მეორეს. აზვირთებულ ზღვასავით ქშინავს ცხოვრების ტალღები და ვინც ოდნავ მაინც შეჩერებას და სულის ამოთქმას მოინდომებს უფსკრულისკენ უკრავს თავს.

მაგრამ ფართე საზოგადოების ფსიხიკა ა̄ე სწრაფათ ცვალებადობას ვერ ეგუება. ადამიანი ბუნებით კონსერვატორია. მას შეჩვეული გზა უყვარს საიარულოთ და ახალის გაკვლევა უძნელდება.

აი ამიტომ ჩვენ თვითეულ ნაბიჯს სასტიკი კრიტიკა ხვდებოდა წილათ არა მარტო მოწინააღმდეგეების, არამედ თვით ამხანაგების ერთი წრისაგან.

და ჩვენ ვიცით, რომ ეს აუცილებელი იყო. არ შეიძლება ამ ჟამათ საბოლოოთ ითქვას რამდენათ სწორი და უტყუარია ჩვენი ნაბიჯი. რამდენათ უხიფათოთ უზრუნველყოფს იგი თუნდ მინიმუმს დემოკრატიულ უფლებებისა. ამას დააფასებს ისტორია. გამჭრიახობა, პოლიტიკური მიხვედრილობა და ხალხის გულის ნადების სისწორით ცოდნა გამოიჩინა ჩვენმა პარტიამ თავის ხელმძღვანელების სახით, თუ ამის წინააღმდეგი თვისებები—ეს დაფასდება მხოლოდ მაშინ, როცა გადადგმულ ნაბიჯების შედეგებს ვიგემებთ. მანამდე კი შეიძლება მხოლოდ ერთი კითხვის არსებითი გადაჭრა, ესაა კითხვის პრინციპიალური მხარე.

ჩვენ გვიკიჟინებენ არა მარტო ტაქტიკურ ნაბიჯების ჩადენას, არამედ მარქსიზმის ღალატს და სოციალდემოკრატიული პრინციპების შელახვას.

მიზეზი ამის—ორიენტაციის შეცვლაა. წინეთ რუსეთზე გეჭირათ გეზი, ახლა გერმანიაზე გიჭირავთო. გვეუბნებიან ეს შეცოდების მამხილებელნი.

ჩვენ უნდა კატეგორიულათ განვაცხადოთ, რომ მარქსიზმი არსად არავითარ შემთხვევაში არ მოითხოვს ორიენტაციის უცვლელობას თავის პრინციპთა შორის.

აი მაგალითები: მარქსი თხოულობდა ერთ დროს პოლონეთის დამოუკიდებლობას. პოლონეთის სოც.-დემოკრატია კი მხოლოდ ავტონომიას აღიარებდა თავის ერისთვის. რომელი ღალატობდა პრინციპს?

ჩვენ ვამბობთ, რომ არც ერთი. ორივე მის დროინდელ მდგომარეობას უწევდა ანგარიშს. მარქსი თხოულობდა ველურ რუსეთისაგან განათლებულ პოლონეთის ჩამოშორებას და ბარიერათ გადაქცევას ევროპისა და აზიის შორის.

პოლონეთის ს.-დემ. კი უკვე ამ რუსეთის გადაქმნაზე ოცნებობდა და არა გამოთიშვაზე.

ცხადია, პირობების და გარემოების მიხედვით, შეიძლება გამოთიშვაც რევოლიუციურ როლს თამაშობდეს და სახელმწიფოს ფარგლებში დარჩენაც. ეს გარემოებებზეა დამოკიდებული. პრინციპი ორიენტაციის უცვლელობისა აქ არაფერ შუაშია.

ზოგჯერ მარქსი მომხრე იყო წვრილ ერთა დამოუკიდებლობის, ზოგან კი მათ სრულ გაქრობას ქადაგებდა. პირველ შემთხვევაში და უკანასკნელშიაც იგი ერთნაირად ხელმძღვანელობდა პროლეტარების ინტერესებით. ებრძოდა და განადგურებას უქადდა იმ ერებს, რომელნიც რეაქციის ბურჯათ ხდებოდენ რევოლიუციის ხანაში, ესარჩლებოდა იმათ, რომელნიც რევოლიუციის პრინციპებს ატარებდენ ცხოვრებაში და მათ დასაცველათ დამოუკიდებლობის გამოცხადებას არ ერიდებოდენ. ჩვენც სწორეთ ასეთ პირობებში ვიმყოფებით. ქართველმა დემოკრატიამ უკანასკნელ შესაძლებლობამდე იბრძოლა საერთო ფრონტზე, მაგრამ როცა ყველა მოკავშირენი ჩამოშორდენ ზოგი ნებსითი, ზოგნიც დამარცხების გამო, უნებლიეთ, იგიც დამოუკიდებლობას არ დაერიდა და თავის ერის ფარგლებში ცდილობს რევოლიუციის ნაკვერჩხალი გაადევოს და მისი მონაპოვარნი შეინარჩუნოს. და განა ეს დასაძრახისია! განა ეს ღალატია საერთო საქმის? განა ეს შებღალვაა სოც.-დემ. პრინციპების? თუ პირიქით ეს მოვალეობაა ყოველი რევოლიუციონერის, რომელსაც კი სწამს და უყვარს თავისუფლება და მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები.

და ჩვენ ვამბობთ, რომ ეს სწორედ ასეა, რომ აქ ამ გზით ჩვენ შევინარჩუნეთ, ვცდილობთ შევინარჩუნოთ ნაყოფი დიდი რევოლიუციისა.

და ის ამხანაგნი, რომელიც ამას ვერ მიმხვდარან, უნებლიეთ ხელის შემშლელათ გამოდიან და ამით სარგებლობის ნაცვლად მხოლოდ უშლიან ხელს იმის განხორციელებას, რაც დემოკრატიამ მიზნათ დაისახა.

საქართველოს დემოკრატიამ სალი ინსტინქტით იგრძნო ისტორიული აუცილებლობა, ალღო აიღო გარემოებას და ჩვეულებრივზე უფრო მჭიდროთ შემოკრბა თავის პარტიის გარშემო... და ეს ინსტინქტიური გამოძახილი გვეუბნება ჩვენ, რომ გზა არჩეული ჩვენგან არის გზა არა ნაციონალ-დემოკრატების, არამედ პროლეტარიატის, დემოკრატიის და მით თვით ერის, რომლის მეთაურათ კარგა ხანია გამხდარა მუშათა პარტია.

## „სოციალდემოკრატი"

ამ გაზეთის პირველ ნომრის შესახებ „ერთობაში" ვსწერდით:

„ჯერ-ჯერობით მისი კილო დარბაისლური და წმინდა აკადემიურია, მაგრამ თავის თავად ეს ვერ სცვლის საქმის ვითარებას... ხოლო უკეთუ ახალი გაზეთი საკითხს პრაქტიკულათ დასვამს და ასეთის (ე. ი. რუსეთთან) გაერთიანებისათვის იბრძოლებს, ის იძულებული გახდება შეძლებისდაგვარათ ძირი გამოუთხაროს არა მარტო პარტიულ პოლიტიკას, არამედ თვით საქართველოს რესპუბლიკის არსებობასაც, ესე იგი ითამაშოს როლი დამგრევლის და არა აღმშენებლის.

არა გვგონია ასეთი უმადური როლის თამაში სასიამოვნო იყოს სოციალდემოკრატიულ მოღვაწისათვის".

ასეთი ჩვენი შეხედულება არ იყო წინასწარმეტყველება. დღეს ჩვენ ხელთა გვაქვს „სოციალდემოკრატი"-ს მეორე ნომერი. გადაიკითხეთ ეს ნომერი და თქვენ დარწმუნდებით, რომ აღნიშნულ „უმადურ როლის თამაშს" დიდის თავგამოდებით აწარმოებს ჩვენი ამხანაგების ერთი ჯგუფი.

რომის სენატში თურმე ჩვეულებათ ჰქონდათ: ისე სიტყვას არავინ იტყოდა, რომ არ დაემთავრებია ასეთი მოთხოვნით: „კართაგენი უნდა დავამხოთო". ჩვენი განდგომილი ამხანაგებიც ყოველმხრივ აშუქებენ საკითხს საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ და ყველა წერილის თითეული სტრიქონი გაჟღენთილია დებულებით: საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა უნდა დაინგრესო.

რათა? რისთვის? რომელი პრინციპის წინააღმდეგ შესცოდა საქართველომ? ვის რა დაუშავა მან თავის დამოუკიდებლობით?

ჩვენი პროგრამის ერთი მუხლი გვეუბნება ერის თვით-გამორკვევის უფლებაზე. ჩვენ კარგათ გვქონდა გათვალისწინებული საერთო ფრონტის საჭიროება და ამიტომ ჩვენ ფიქრადაც არ მოგვსვლია რუსეთის ორიენტაციის შეცვლა. ვცადეთ, სანამ საბოლოოთ არ გამოირკვა, რომ რუსეთმა გვიღალატა, მიგვატოვა. დღე ამტკიცონ განდგომილმა ამხანაგებმა „სოციალდემოკრატიდან", რომ საქართველოს უღალატა ოფიციალურმა, ბოლშევიკურმა რუსეთმა. ჩვენც გვჯერა ეს. გვჯერა, რომ რუსეთის სასიცოცხლო ძალები ჩვენსკენაა, მაგრამ ერთი გვითხრან: სად არის, როდის აღსდგება ეს სალი, სასიცოცხლო ძალები? ასეთი იმედებით ხომ ბოლშევიკებიც ატყუებენ დემოკრატიას: დაიცადეთ საერთაშორისო პროლეტარიატი ამოძრავდება და მაშინ საერთო ძალით მოვუღრღნით კისერს გერმანიის იმპერიალიზმსო. ალბათ ასეთივე ექსპერიმენტი უნდა გაგვემეორებია ჩვენში! ვეკითხებით განდგომილ ამხანაგებს „სოციალდემოკრატიდან": რისთვის უნდა მოვქცეულიყავით ასე? ნუ თუ ეს ცინიკური დაცინვა არ არის მთელი ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ მომართული?

„სოციალ-დემოკრატი" გვიმტკიცებს ეკონომიურ უძლურებას და ფინანსიურ სიღატაკეს. დასკვნა? დასკვნა ის არის, რომ საქართველოს რესპუბლიკას არსებობა არ შეუძლია. ვთქვათ, რომ მართალია ყველაფერი ეს. ვთქვათ, სმირნოვს, ესსენს და სხვებს უტყუარი მეცნიერული საბუთები მოეპოვებათ საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიურ-ფინანსიურ უძლურების შესახებ. მერე რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ ყოვლანისებურ ჩხავილს? ვინ არ იცის, რომ ზოგი ქვეყანა ეკონომიურათ და ფინანსიურათ ძლიერია, ზოგი კი სუსტი? ვინ არ იცის, რომ სუსტის გადაყლაპვას ყოველთვის ეტრფიან იმპერიალისტები. რათ მიაჩნიათ სასახელოთ ჩვენს ამხანაგებს იმპერიალისტების ნებსით თუ უნებლიეთ სამსახური? ნუ თუ მათ არ იციან, რომ როცა საქართველოს რესპუბლიკის სისუსტის დასაბუთება გაიხადეს მიზნათ, ეს დასაბუთება მხოლოდ ჩვენს მტრებს გამოადგებათ და არა მოკეთეთ?

მაინცა და მაინც არ გამოვუდგებით ჩვენი რესპუბლიკის უნებლიეთი მესაფლავეების მწერლობის ამ მხარეს. საკითხები, რომელსაც ისინი აყენებენ თავისთავად მნიშვნელოვანია და ჩვენ ამ კითხვებს ცალკე წერილებს ვუძღვნით. დღეს საჭიროთ ვთვლით აღვნიშნოთ ერთი სამწუხარო მოვლენა, „სოციალ-დემოკრატის" პირველ ნომრის გამო ჩვენ აღვნიშნეთ ამ გაზეთის წერილების აკადემიური და დარბაისლური კილო. მეორე ნომერში უკვე ქარისთვის გაუტანებიათ ეს დინჯი კილო და სავსებით შეუთვისებიათ განსვენებულ „გოლოს კავკაზა"-ს წერის მანერა. და რაც ყველაზე სამწუხაროა პირიქით ჩვენ გვედავებიან და „ვოზროჟდენიე"-ს გვადარებენ.

რაშია საქმე?

„ერთობის" 7 ივნისის ნომერში ჩვენ მოკლეთ შევეხეთ ეროვნულ საკითხს ჩვენში. აღვნიშნეთ ნაციონალისტური გაუტანლობის მავნებლობა და სხვათა შორის ვწერდით:

„ორმაგათ გონივრული და წინდახედული უნდა იყოს ჩვენი რესპუბლიკის ეროვნული პოლიტიკა. ერთის მხრით ჩვენ უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენში მოსახლე სხვა ერებს, რომ აქ უზრუნველყოფილია მათი ადამიანური და მოქალაქობრივი თავისუფლება-თანასწორობა. მაგრამ იმავე დროს ჩვენ თავიდანვე უნდა ვაგრძნობინოთ ჩვენი ძალა იმ ელემენტებს, რომელნიც აბუჩად გვიგდებენ და ისე კი არ იქცევიან, როგორც მოქალაქენი, არამედ როგორც თავხედი სტუმრები".

ეს უცილობო ჭეშმარიტება ვერ გაუგია ჩვენს ამხანაგებს და „სოციალ-დემოკრატი"-ს მეპრესე საჭიროთ თვლის თავდაპირველათ ასე გადაამახინჯოს ჩვენი აზრი: „ამას წინეთ „ერთობამ" ზოგიერთ რეაქციონურ ელემენტების წინააღმდეგ გალაშქრების დროს საჭიროთ დაინახა ხაზი გაესვა, რომ ისინი აქ „სტუმრებია".

ჩვენ ვეკითხებით ყველა რიგიან ადამიანს: ნუ თუ შესაწყნარებელია აზრის ასე გაუკუღმართება? ჩვენ მოვითხოვეთ იმათი ალაგმვა, რომელნიც ისე კი არ იქცევიან, როგორც მოქალაქენი, არამედ როგორც თავხედი სტუმრები. „სოციალდემოკრატის" მეპრესე კი ამბობს, ვითომ ჩვენ ვიღაცეებისთვის სტუმრები გვეწოდებინოს.

განსაცვიფრებელია აგრეთვე მეპრესეს შენიშვნა: როგორ ჩქარა გადაიქცენ მენშევიკები „ინოროდცებიდან" „გაბატონებულ ნაციათ".

ამას ქვია საკუთარ ადლით ზომვა! ნუ თუ ჩვენს განდგომილ ამხანაგებს გონიათ, რომ ჩვენ არ უნდა ავლაგმოთ ის ჟღებატონები, რომელნიც ისე კი არ იქცევიან, როგორც მოქალაქენი, არამედ როგორც თავხედი სტუმრები? ეს არის „გაბატონება"? რომელი ქვეყანა მოითმენს, რომ მის ტერიტორიაზე მასვე ებრძოდენ? თუ ასეა, რაღათ სწყინს „სოციალ-დემოკრატს", როცა უკრაინაში, ან მოსკოვში ნემეცი იმპერიალისტები ბატონობენ? ან იქნებ გონიათ: თუ რუსი ბატონობს კარგია, ხოლო თუ ნემეცი ბატონობს—ეშმაკისგან არს.

ასე იციან ჰოტენტოტებმა: მე თუ შეგჭამ კარგია, თუ შენ შემჭამ—ცუდია!

ასეთი მორალი შეფერის ნაციონალისტებს, მაგრამ არ შეფერის სოციალ-დემოკრატებს.

## პრესა

„სოციალდემოკრატ"ს" მწერლებს მეტათ ახირებული ჩვეულება დაუჩემდათ თავიდანვე. მათ მიზნათ აიღეს იმის მტკიცება, რომ საქართველოს დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია და რა კითხვასაც უნდა შეუდგენ გასარჩევათ, უეჭველათ ამ დასკვნას დაადგებიან.

მაგ. ა. ესსენი („სოციალდემოკრატი" № 2) იხილავს საწარმოო რესურსებს საქართველოსას, მის ბუნებრივ სიმდიდრეს და ასკვნის:

„საქართველოს არ შეუძლია დაკმაყოფილება თავის საჭიროთა მოთხოვნილებების და მომავლის პერსპექტივები გვიქადიან მიწის სიმცირეს, ემიგრაციას, უმუშევართა რაზმების ზრდას, სათბობი მასალა და რკინეულობა,—ეს საფუძველი ყოველი განვითარებული მრეწველობისა ამ ჟამათ არ მოეპოვება. მოეპოვება შეიძლება მომავალში, მაგრამ არსებულ საუნჯის დასამუშავებლათ საჭიროა დიდი თანხის დახარჯვა ერთდროულათ: ტრანსპორტი კატასტროფიულ მდგომარეობაშია, მიმოსვლის საშუალებანი—მცირე და ტეხნიკურათ არა დამაკმაყოფილებელნი, ბამბა—ეს საფუძველი საქსოვ-სართავი წარმოების, არ მოიპოვება.

იქიდან, რაც შეიძლება ახლავე გამოყენებულ იქნას, მოიპოვება, მარგანეცი, ღვინო და მცირედი ნაწილი ტყეებისა, მაგრამ მარგანეცით სარგებლობა დამოკიდებულია გერმანიასთან მომავალ შეთანხმებაზე, რომელიც ჯერ არ ვიცით როგორი იქნება. ტყით სარგებლობა არ შეიძლება თუ დიდი თანხა არ იქნა ამისთვის გაღებული. ქვევე ითქმის თეთრ ნახშირზე (ელექტრონის ძალაზე)".

როგორც ვხედავთ ეკონომიური პერსპექტივები გვქონია შესაძლებელია განვითარების, ოღონდ საჭიროა თანხა, კაპიტალი, რომელიც ამას დაატრიალებს და დრო. ეს ეჭვს გარეშე ასეა. დღეს კი ჩვენ ღარიბი ვართ, მაგრამ სად არის გამოსავალი აქედან?

რა იხსნის ქვეყანას ამ გასაჭირიდან?

ეჭვი არაა ისეთი პირობების შექმნა, რომელიც მრეწველობის განვითარებას ხელს შეუწყობს, ამ მრეწველობა საუნჯეს მიწის გულიდან ამოიღებს და ხალხს იმით ასარგებლებს.

ა. ესსენი ერთი სიტყვითაც არ გვიჩვენებს, თუ რა გზას უნდა მივმართოთ, რომ ასეთ პერსპექტივა სინამდვილეთ ვაქციოთ.

იგი შეპყრობილია თახმებისა სა[illegible]ნით—საქართველოს დამოუკიდებლობის უარყოფით და იქიდანაც ასეთი დასკვნა გამოჰყავს:

„მზრუნველობის მდგომარეობის ამ მცირე განხილვიდან თავის თავათ გვებადება საერთო დასკვნა, რომ დამოუკიდებლობა ამიერ-კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოსი, სახალხო მეურნეობისა და ქვეყნის ეკონომიური განვითარების თვალსაზრისით მეტათ მძიმე და მავნებელი ნაბიჯია".

ჩვენ არ ვუარვყოფთ, რომ დღევანდელ ეკონომიურ პირობებში ძნელია დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. მაგრამ რატომ გონია ა. ესსენს, რომ დამოუკიდებლობა ე. ი. დიდ სახელმწიფოს პროვინციათ გადაქცევა, დაუყონებლივ მოსპობდა ყველა იმ შედეგებს და მაშინვე გაუჩენდა ადგილობრივ ხალხს კაპიტალსაც, გზებსაც, და ყველა სხვა პირობებს, რაც სამრეწველო განვითარებისათვის საჭიროა?

და ასეც რომ იყოს, ერთი [illegible] ნოს ამ გონიერმა [illegible] ვინლიათ გადაქცევას [illegible] ლეთისას? [illegible] გვაძლევს—დამოუკიდებლობის [illegible] შოსათხრილათ [illegible]

* * *

სოციალ ნაციონალისტებმა დიდი აურზაური ასტეხეს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ იმის გამო, რომ ეს მთავრობა საზღვრების მოწესრიგების საქმეში დაეყრდნო არა რეალური მოსახლეობის პრინციპს, არამედ სტრატეგიულს და ისტორიულს. ჩვენ უკვე გამოვთქვით ერთხელ ჩვენი აზრი ამის შესახებ. ამავე საკითხს ეხება „სახალხო საქმე" და შემდეგი ახალი მოსაზრება მოყავს სომხის შოვინისტების წინააღმდეგ. ის სწერს:

„საქართველოს ტერიტორიალური შეზღუდვა რევოლიუციის დაღუპვას მოგვცემდა, ვინაიდან პაწია რევოლიუციონური კუთხე ადვილად დაიღუპებოდა რეაქციონურ ერების და ტერიტორიების წიაღში. სწორედ ამიტომ შეუძლებელია დღეს საზღვრების საკითხის გადაწყვეტის დროს, გამოვეკიდოთ მარტო დოქტრინალურ აბსტრაქციას და რეალურ მოსახლეობის პრინციპს არ მიუმატოთ პრინციპი რევოლიუციისა, რომელიც უეჭველად გულისხმობს რევოლიუციონურ უფლების სფეროს, რაც შეიძლება გაფართოებას თუ სომხის და თათრის წარმომადგენლებს მართლა სურს თავიანთი ქვეყნის ბედი თავიანთ ხელში იყოს, უნდა იცოდენ, რომ რევოლიუციონურ საქართველოს გაძლიერება საუკეთესო პირობა იქნება როგორც დემოკრატიზმის სიცოცხლისათვის, ისე ამიერ-კავკასიის სრულის განთავისუფლებისა და ფედერაციისათვის".

სომხის და თათრის შოვინისტებს რომ მართლა ხალხისთვის შესტკივოდეთ გული, ისინი ოსმალეთს შეებრძოლებოდენ და დაბილ ლობეთ არ მიიჩნევდენ საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას, რომელსაც სახეში აქვს თავისი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა და არა რომელიმე ერის დამონება.

* * *

„გაზეთ „საქართველო"-ში ვინმე რაე სწერს:

„ნ. ჟორდანიამ 16 თიბათვეს ჩამოიხსნა შემთანხმებლის ნიღაბი და ღვარძლიანი, ურცხვი დემაგოგიით შეეცადა გაერიყა ეროვნული დემოკრატია ეროვნულ საბჭოში".

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეროვნულ დემოკრატიის პარტიამ თითონ გაირიყა თავისი თავი. მაგრამ დეე ეროვნულმა დემოკრატებმა ამტკიცონ, ვითომ სოც.-დემოკრატები იყოს მიზეზი მათი გარიყვისა. ჩვენ მხოლოდ ერთი რამ ვერ გაგვიგია: რას ნიშნავს ბ. რაე-ს შემდეგი სიტყვები:

„არა ერთხელ გაგვიგონია ამ კაცი ქამია ხალხისაგან სიტყვით, პრესით და საქმეზედაც გვინახავს, რომ თავად-აზნაურობა ამოსაქლეტი ხალხია".

რისთვის დასჭირდათ ბ. ნაციონალ-დემოკრატებს ასეთი სიყალბის წერა?

## მესხეთში და ჯავახეთში

(მგზავრის წერილი)

I

ჩვენი ხალხი მეტად მწვავედ გრძნობს ოსმალეთთან დადებულ საშინელ საზავო პირობების შედეგებს, მარა ეს სიმწვავე არსად ისე საგრძნობი არ არის, როგორც მესხეთში და ჯავახეთში, სადაც დღეს ოსმალეთის დროშა ფრიალებს და ასკერის რაზმები ცეცხლით და მახვილით სპობენ ყველა იმას, რაც ასე ძვირფასია ჩვენი დემოკრატიისთვის.

მკითხველისთვის საყურადღებოა იცოდეს, თუ როგორ შემოვიდა ოსმალთა ჯარი ამ მაზრებში, რა მოხდა მას შემდეგ და რას განიცდის დღეს, საუკუნოებით აოხრებული და ეხლა კი მტრის პირში მიცემული მესხნი და ჯავახნი.

ზარბაზნების ქუხილი ჯერ კიდევ ვერ ჩაეჩუმებიათ ახალციხის მიდამოებში, ხოლო ჯავახეთში ვერ შეემუსრათ ჯავახელთა მოწინავე რაზმები, რომ ამ დროს ბათუმში შეკრულმა ზავმა ფარდა ახადა ყველა იმ საიდუმლოებას, რაც თვე-ნახევრის განმავლობაში ცეცხლის ალით იყო გარს-შემორტყმული და შიშით მომწყვდეული ხალხი თუმც იბრძოდა, მარა ჩვენ არ ვიცოდით მათი ხვედრი, მათი მდგომარეობა, ხოლო ჩვენი სიძაბუნე და უძლურება საშუალებას გვისპობდა მათ შევერთებოდით. და აი, როცა ახალციხის ბედი ბათუმში გადაწყდა, მოფრინდენ პირველი მერცხლები ტყვეობის გალიიდან და გადაგვიშალეს ყოველივე ის, რაც სწამლავდა მათ თვენახევრის ტყეობაში ყოფნის დროს.

როცა ჩვენგან მოწყვეტილი ახალციხე დრო-გამოშვებით ზარბაზნებიდან ცეცხლს უჩენდა გარს-შემორტყმულ მტერს და ჩვენ კი, აწყურთან და ასპინძასთან ფრონტზე მდგარი ჯარი თვალყურს ვადევნებდით ამ ბრძოლას, ყველას თვალწინ გვედგა მაღალი ტანის, ჭაღარა, მარა მხნეობით სავსედა გატაცებული იდეალისტი თავისი საქმისა, გენერალი მაყაშვილი.

ეს საყვარელი გმირია მთელი ახალციხის. ჯარისკაცი, აფიცერი, მოქალაქე, გლეხი და მუშა ყველა მას ერთნაირათ სცემს პატივს, ერთნაირათ უყვართ ის. და აი, ეს გენერალი თვენახევრის განშორების შემდეგ პირველად დავინახე ისევ ბორჯომში 9 ივნისს.

ისევ ისე, როგორც გვინახავს, მოძღიმარი, იმედებით სავსე, მოსიყვარულე თავის საქმის, მოაბიჯებს ის ყავარჯნით ხელში და მას გვერდით მიჰყვებ მოჰყვებიან ახალციხიდან პირველად გამოსული ჯარისკაცები. აქაც არ შორდებიან, უყვართ, ვინაიდან დღე და ღამ მათთან იყო ეს გენერალი სანგრებში თავის ხელით ესროდა ზარბაზნებიდან მტერს და არსად, არსად არ უგრძვნია მასთან ჯარს სულით დაცემა და სიძაბუნე.

ჩვენ დაინტერესებული ვართ მისი აზრით: შეეძლო თუ არა ახალციხეს კიდევ გაძლება, მოიგერიებდა თუ არა ის მტრის რეგულიარული ჯარის შემოტევას? აი კითხვები, რომელსაც სალამის შემდეგ ვაძლევთ ახლად ჩამოსულ სახალხო გმირს. ის ჩვეულებრივათ იღიმება, სახეზე ღრმა რწმენის, სავსე იმედების ბეჭედი აზის და გვიპასუხებს: „ჩვენთვის არ არსებობდა ახალციხეში კითხვა გაძლებდით თუ არა, ჩვენ ვიცოდით მხოლოდ, რომ უნდა გვებრძოლა, გვებრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე და არასოდეს, არც ერთი წუთით იქვი არ შეგვპარვია იმაში, რომ მტერს ძვირათ დავუჯდებოდით ახალციხეში შემოსვლას, მას მივსცემდით ისეთ გაკვეთილს, რომელიც ჩააფიქრებდა თავხედ და უნამუსო მტერს, რომელმაც ნახა ჩვენი სახლის ღია კარები და მოჯირითობს. მაგრამ ვაი რომ არ დაგვცალდა, ისე წამოვედით, რომ გულიც ვერ მოვიფხანეთ. თქვენ იქნებ იქვი გეპარებათ ჩემს იმედებში, აბა, მიდით და ნახეთ ახალციხის ირგვლივ მდებარე პოზიციები, დაათვალიერეთ ჩვენი სანგრები და „ბლინდაჟები", მიუმატეთ ამას ჯარის სურვილი ბრძოლისათვის და თქვენი იქვებიც იქნებ გაიფანტოს. მე არ ვამბობ, რომ მტერს სრულიად მოვტეხდით, მარა ძვირათ კი დავუჯდებოდით ახალციხეში შემოსვლას". ასე იყო დარწმუნებული ეს მოხუცი გენერალი თვით ბორჯომშიაც კი, როცა თვე ნახევრის განმავლობაში ჩვენგან მოწყვეტილს, საშუალება მიეცა გაეგო საერთო, არა საიმედო ჩვენი მდგომარეობა.

იმავე დღეს, 2 საათზე, ნება მივიღეთ ოსმალეთის ჯარების უფროსისაგან წავსულიყავით ავტომობილით ახალციხეში ორი პირი, ვინაიდან ჩვენ დავალება გვქონდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისაგან მოგველაპარაკნა მათთან. ერთი საათის შემდეგ გავსცილდით ს. ღვირში მდგარ ჩვენი ჯარის პოზიციებს და შევედით მტრის ბანაკაში. უკანასკნელ ბრძოლის დროს აწყურთან მტერი ამ მიდამოებში ძლიერ იყო გამაგრებული და ეხლა კი ჩვენის თვალით ვხედავდით სანგრებს, რომელნიც სამხედრო საქმეების კარგად მცოდნე პირების ხელმძღვანელობით იყო შექმნილი. თამარის დროინდელ სლესის ციხესთან ოსმალთა მცირე რაზმს შევხვდით, რომელიც უმთავრესად ადგილობრივ მაჰმადიანებისაგან შესდგებოდა და მხოლოდ ერთი ასკერი უდგა სათავეში. ჩვენ წაგვიყვანეს ოსმალოს აფიცერთან, რომელიც რაზმის ბანაკიდან ორი ვერსის სიშორეზე იყო შარა გზის სადარაჯო სახლში. აქაც ადგილობრივი მაჰმადიანები და ერთი—ორი ასკერი. მათ შორის ბევრია ჩემი ნაცნობები სოფელ ზიკილიადან და ყამზიდან, მშვენივრათ იციან ქართული, არაფრით არ განირჩევიან ჩვენი გლეხებისაგან, უნდათ რაღაცა მითხრან, მარა ეშინიათ აფიცრის და ვგონებ უფრო კი ასკერის, თოფით ხელში როგორც ჯოხები სდგანან და მომჩერებიან. ახალციხესთან ტელეფონით მოლაპარაკების შემდეგ აფიცერმა ნება მოგვცა აწყურისკენ გზის გაგრძელების, გამოგვაყოლა ერთი ჯარის კაცი, ადგილობრივი მაჰმადიანი და გაგვიშვა. ეს ჯარისკაცი ჩემი კარგი ნაცნობია—შევქეთ აბდულ-ოღლი, გვარათ კი გვარამაძეა, სოფ. ზიკილიადან. დამფუძნებელ კრების არჩევნების დროს ის სოფლებში თარჯიმანობას მიწევდა, ძალიან მოსწონდა მიწის პროგრამა, მარა დღეს თოფით ხელში, როგორც ოტომანის იმპერიის ჯარის კაცი, მიმყვებოდა დარაჯათ, თავის უფროსთან მიმაცილებდა.

— შევქეთ, არა გრცხვენიათ, როგორ გვიღალატეთ, აკი ძმობას გვეფიცებოდით, შემდეგში ხომ არაფერს დაგიჯერებთ—ვუთხარი მე მას, როცა ის გვერდით მომიჯდა და სალამი მომცა.

— ჰაი, ჰაი რომ გიღალატეთ, სისხლიც დავღვარეთ, მარა ვისი ბრალია? ხომ გახსოვს არჩევნების დროს ჩვენ რომ გვებრძოდა ომარ-ეფენდი და ბეგები. ხალხი გააბრიყვეს და ეხლა კი ცეცხლში ჩაგვყარეს—მიპასუხა თითქო რაღაც გულნატკენმა შევქეთმა.

— შევქეთ, აწყური ხომ ისევ საქართველოში დარჩა, რათ დგეხართ ეხლა აქ და არ გვიშვებთ?

— რა ვიცი ბატონო, ჩვენ ვინ გვკითხავს რამეს, გვიბრძანებენ და უნდა შევასრულოთ, დაგვღუპეს ბეგებმა, დაგვღუპეს.

მინდა ვიწამო შევქეთის გულის წუხილი, მარა მაინც იქვები მეპარება. განა აჭარლები უფრო ნიანგის ცრემლებს არ ღვრიდენ და ძმობას არ გვეფიცებოდენ?

მივედით აწყურში. მაჰმადიანები მას ახალციხის დარდანელს ეძახიან, ვინაიდან ის შემოსასვლელი კარებია ბორჯომის ხეობაში და კლიტეა ახალციხის. მისი ნაგრევი ციხეები მოწმობენ, თუ რა მნიშვნელობა ქონდა მას საქართველოსთვის. ვის არ წაუკითხავს ერეკლეს ბრძოლა ასპინძაში და როცა აქ მტერი დამარცხა, შემდეგ აწყურთან ებრძოდა მტრის უთვალავ რაზმებს.

აწყური ჩვეულებრივ ცოცხალი, მუდამ მმოძრავი ცენტრი იყო ახალციხის თურქოფილ მაჰმადიანებისათვის, სადაც იჭრებოდა ყოველი კითხვა და მზადდებოდა ახალციხის ტრაგედია. დღეს კი, დღეს სიცოცხლე მოდუნებულია, ხალხი არ სჩანს. ჩვეულებრივათ ყავახანების წინ მოფუსფუსე მაჰმადიანები დღეს სადღაც წასულან. ძალა უფლება მოსულ ხალხის ხელშია. აჭარელი ბეგები და ოსმალოს აფიცრები უბრძანებენ ხალხს და გუშინდელი მეთაურები კი მათი ფეხის მტვერია, ლაქიობენ მათთან და ამითაც კმაყოფილი არიან.

აი მოხუცი გლეხი—უსეინ ასლანოღლი. შარშან ის გლეხთა ყრილობაზე ვნახე, შემდეგ დავმეგობრდით და ახალციხის მაზრის ბევრი სოფლები მოვიარეთ. მაშინ მას ბეგები მოსვენებას არ აძლევდენ, სდევნიდენ, სძულდათ, ვინაიდან მას ხალხთან ქონდა საქმე. მინდა დაველაპარაკო, გამოვკითხო ყოველივე, მარა თვითაც ვერ ბედავს ხმა გამცეს, მორცხვათ დადის შორი-ახლო და იღიმება, ხოლო ამ ღიმილში მოსჩანს რაღაც წუხილი, მარა ვერ გამომიცვნია პატიოსანი, მწარე წუხილია ეს თუ შერცხვა, რომ გვიღალატა და ეხლა, როცა აგონდება ჩვენი წარსულში ერთათ მუშაობა ველარ მიბედავს ხმის გაცემას. მინდა მივუახლოვდე მას, მარა ისევ შორს მიდის და თვალთაგან მეკარგება. შემდეგ, როცა სხვა ნაცნობებიც გამოვნახე, გავიგე, რომ უსეინს სდევნიან და შეეშინდა ჩემთან მოსვლა, ალბათ ბეგების და ოსმალოს მთავრობის ჯაშუშები თვალ-ყურს ადევნებდენ და მას დასჯიდენ.

აწყურში მთელი ერთი საათი გაგვაჩერეს. გველაპარაკებიან მხოლოდ ბეგები, რამდენს არ ვცდილობთ ხალხთან გამოლაპარაკებას, მარა ან ასკერი, ანდა ვინმე ბეგი ერევება მათ მათრახებით და ამ ხალხის ნაცვლათ, მათ აზრს გადმოგვცემენ ბეგები, რომ მათ არ სურთ საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენა, რომ აწყურლები არაფრისთვის არ დასთმობენ აწყურს და სხვა. ოსმალოს აფიცრები კი გაიძახიან: „ჩვენ დავცლით, მარა ხალხი არ სცლის, მას არ სურსო". ჩვენ კი ხალხის ხმა არ გვსმენია, მისი აზრი ვერ გავიგეთ.

ერთი საათის შემდეგ აწყურიდან გავედით კიდევ ორი ვერსი და საქართველოს საზღვრებს გავშორდებით. აი მივედით კიდეც. რა ვქნა, ვერ წარმომიდგენია, რომ გადავედი ოსმალეთის ტერიტორიაზე, რომ მესხეთი სხვას ეკუთვნის და, როცა მივედით პატარა მთის მდინარესთან, რომელიც დღეს საზღვარია, ვიგრძენი, რომ აქ მახვილია ჩამოკიდული, რომელიც დედას აშორებს შვილს, სტაცებს თვის პირმშოს და ორივენი სტირიან, მოსთქვამენ, თალხებში არიან შემოსილი.

ჩვეულებრივათ მშვენიერია ახალციხის მთა გორიანი ადგილები, პური ღელავს, ბაღები ბიბინებს, ხოლო ჩრდილოეთით და სამხრეთით აწვდილი მაღალი, ნაძვნარებით დაფენილი მთები, თითქო სდარაჯობენ ამ ედემს, უალერსებენ მას და მისი გასაღები ხელთ უპყრიავთ. სოფლები დაცლილია ხალხისაგან, ყანებში მხოლოდ ქალები და ბავშვები მუშაობენ. არ ვიცი, სად წავიდენ ეს გლეხები, მუდამ რომ გზის პირზე დუქნებთან მრავლად იდგენ და გამვლელ-გამომვლელთ აწვდიდენ გასაყიდ ჰანახულს.

სოფელ წნისიდან კარგათ მოსჩანს ახალციხის მიდამოები, ქალაქი საფარის მთების ჩრდილო ფერდობებზეა გადაშლილი, ხოლო თამარის ციხე შუაში სდგას, როგორც თაიგული. საუცხოვო სანახაობაა: ზღვასავით მღელვარე პური, რომელსაც ნანას ურწევს ახალციხის მშვენიერი, სათუთი და გამაცოცხლებელი ნიავი, მოგაგონებს ბათუმის ნაპირებს, როცა ზღვა დაწყნარებული ირხევა თავის წმინდა ტალღებით: მოსჩანს ახალციხის ელების სახსოვრათ 1828 წ. აგებული ძეგლი და უთვალავი შავი ჯვრები ძმათა სასაფლაოზე, რომელიც უტყუვრათ მოგვითხრობს ახალციხის წარსულს და ეხლა კი მოწამეა მისი შავი დღეების, მისი ტრაგედიის. და აი, როცა მივუახლოვდით ძეგლს, ჩვენ მოგვესმა თითქო განგებ, თითქო გულმოსაკლავათ ჩვენებური „ოდელია". შოფერი ძალაუნებურათ შეჩერდა. მშვენიერი, მწყობრი სიმღერა, თითქო შეთანხმებულია ამ რბილ, სათუთ ნიავთან, რომელიც ფანტავს მას და სოფლებისკენ მიაქვს.

მერე იცი, მკითხველო, ვინ აჰბობდა ამ ოდელიას? ვინ ხიბლავდა გამვლელთ თავისი ხმებით? ეს იყო კობულეთელი ქართველი მაჰმადიანები, რომელნიც ჯარში წამოუყვანიათ და აქ ახალციხის კარებთან დარაჯათ დაუყენებიათ. და იმღერიან, გასძახიან ოდელიას ისე, როგორც ჩვენში, გურიაში და იმერეთში, მაგრამ თოფით კი გეხვდებიან, როგორც მტრებს იქვებით გვეგებებიან.

გულ მოკლული, თვალცრემლიანი შევედით ახალციხეში, ეხლა ამ ნახევრად მკვდარ ქალაქში, სადაც დადიან ცხენოსანი ასკერები და ყველას ფეხებში აკვირდებიან, დაეძებენ „მოღალატეთ". ხვალ უნდა ვნახო ჩვენი გლეხები, ეს უდანაშაულო მსხვერპლნი, ხვალ უნდა ველაპარაკოთ ერთმანეთს თვენახევრის განშორების შემდეგ. მაშინ იმედებით მოვდიოდი ბორჯომისკენ, ხოლო დღეს კი ცრემლით სავსე თვალებით მივედი იმ ოჯახში, რომელსაც საფლავში ჩაუსვენეს იმედები და ტანჯვისაგან ლოყები დაუკაწრეს. ლ—თ.

(შემდეგი იქნება).

## დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

20 ივნისი.

**ბერლინი.** სამხედრო მოხსენება. დასავლეთის ფრონტის, კრონპრინც რუპრეხტის ჯარი. სწარმოებს ქვეითა ჯარების მიერ დაზვერვა. ნიების ტყეში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. საარტილერიო სროლა მხოლოდ ზოგიერთ ნაწილში ძლიერდებოდა.

გერმანიის კრონპრინცის ჯარი. ფრანგების შემოტევა დამიერას სამხრეთ-დასავლეთით ვილერკოტერეს ტყის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაწილში არ დასრულდა გამარჯვებით. მტრის იერიშების გამო ჩვენ იძულებული შევიქენით ჩვენი ბრძოლის ხაზი ტყის სიღრმისაკენ წამოგვეწია. მატო-ტიერის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა დარაჯებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე როტის იერიში. ჩვენმა არტილერიამ ენერგიულათ დაუშინა ყუმბარები მტრის პოზიციებს რეიმსის ახლოს. ქვეითა ჯარებმა წამოიყვანეს 50 ტყვე. გუშინ ძირს ჩამოვაგდეთ მოწინააღმდეგის 23 აეროპლანი.

**ვენა.** ოფიციალური სამხედრო მოხსენება. ფელდმარშალ ბოროევიკის ჯარმა წინსვლის დროს კიდევ გაიმარჯვა. ფორზეტცას თხრილი რამდენიმე ადგილას გადალახეს. იტალიელები მთელ ძალ-ღონით ცდილობენ, რომ შეაჩერონ ჩვენი წინსვლა. ვიწრო გასავლებში ჩვენ ხელთ ჩავიგდეთ რამდენიმე ტყვეები. ძლიერი იერიშები ტრიეზვის რკინის გზის ორივე მხარეს მოვიგერიეთ საარტილერიო ცეცხლითა და ხელჩართული ბრძოლით: ერც-გერცოგ იოსების დივიზიამ გადალახა მოწინააღმდეგის ბრძოლის ხაზი მონტე დიელთან. ტყვეთა რიცხვი თანდათან იზრდება. იტალიელები ამაოთ შეეცადენ წინ წამოწეულიყვენ დასსოსაკენ.

**ბერლინი.** არც ერთ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**სტამბოლი.** ფრონტებზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს. ჩვენმა აეროპლანებმა კვლავ დაუშინეს ყუმბარები მდ. იორდანის დასავლეთით მდგომ მოწინააღმდეგის ჯარებს.

**პარიზი.** განვლილ დღეღამეში არც ერთ ფრონტზე არაფერი საყურადღებო არ შეუნიშნავთ 18 ივნისს ფრანგებმა ჩამოაგდეს გერმანიის 6 აეროპლანი. 19 ივნისს ღამით საფრანგეთის აეროპლანებმა 10 ტონი ასაფეთქებელი ნივთიერება ჩაყარეს შულერ-ფრაკეს, ფავეროლის და ფისმეს რაიონში.

## ახალი ამბები

**საქართველოს ეროვნული საბჭო.** დღეს, შუადღის 12 საათზე შესდგება საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა. დღის წესრიგი: 1) პლენარულ სხდომის დღეების განაწილება, 2) კანონ-პროექტი სახელმწიფო კანტროლის დანიშვნის შესახებ, 3) კანონ პროექტი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ გვარდიის შექმნის შესახებ.

◆ **სომეხი ლტოლვილები.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ ვეხიბ ფაშას დეპეშა გაუგზავნა, რომლითაც სთხოვს ოსმალეთის მთავრობას დაჩქარებულ იქნას ახალ ქალაქის ლტოლვილთა უკან დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა.

◆ **საქართველოს ეროვნულ საბჭოს** თავმჯდომარემ კავკავიდან მთავრობის რწმუნებულის წერეთლისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკავისაკენ არავის არ უშვებენ. 6000 ფუთი სიმინდის ფქვილი ფურგუნებზე დადებული მალაკანებმა არ გაატარეს. იძულებული გახდნენ გადმოეტვირთნათ, ნაწილი დაიკარგა, ნაწილი იაფად გაიყიდა და ფურგუნის პატრონებს ქირა მივეცით რამდენიმე ათასი მანეთი. ჩვენი ორგანიზაციის მიერ დამზადებული სიმინდი სხვა ორგანიზაციებს მიაქვთ, რის გამო ჩვენ რამდენიმე ასი ათას მანეთს ვკარგავთ. ჩვენი რკინის გზის მოსამსახურეებმა ყუბანის ოლქიდან ჩამოიტანეს ხორბალი, მაგრამ ისიც წაგვართვეს. ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა ადგილობრივ მთავრობას, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს საგანგებო კომისარი ორჯონიკიძე. უეჭველად გამოგზავნეთ ცნობილი პირი ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევად. მიიღეთ ზომები მანდვე შეისყიდოთ პური. ჩვენი ორგანიზაციის იმედს ნუ იქონიებთ. კავკავში ჩვენ არაფერი არა გვაქვს, გზაში კი ყველაფერს გვართმევენ.

◆ **ბათუმიდან ჩამოვიდა** იქ დარჩენილ რუს-ქართველ-სომეხთა წარმომადგენელი 2 მუშა. მათი სიტყვით იქ ამ ჟამად ბევრი რუსეთის ყოფილი ქვეშევრდომები არიან. მათი მდგომარეობა პირდაპირ აუტანელია, ცხოვრების არავითარი სალსარი არ მოეპოვება, კუთვნილი ჯამაგირი ვერავისგან ვერ მიუღიათ, მუშაობა არავითარი არ არის და იძულებულნი არიან გაჰყიდონ ყველაფერი, რაც კი რამ აბადიათ, მაგრამ რადგანაც უმუშევრათ დარჩენილნი ბევრნი არიან, ბევრმა მათგანმა მიმართა ამ საშუალებას, ხოლო მყიდველი კი ცოტა არის, გროშის ფასად უხდებათ ყველაფრის გაყიდვა. ქალაქში ცხოვრება თითქმის სრულიად შესწყდა. რევოლიუციონური ორგანიზაციები დიდი ხანია, რაც გარეკეს; გარეკილია აგრეთვე ქალაქის თვითმართველობა.

◆ **ცეცხლი.** 19 ივნისს ღამით დიდი ცეცხლი გაუჩნდა საოლქო საინტენდანტოს მეორე საწყობს დიდუბეში. ცეცხლი გავრცელდა. დაიწვა 8 საწყობი შაქარის, ფქვილის და სხვ. სურსათისა, და აგრეთვე გადასატან-გადმოსატან საშუალებათა ყოველგვარი მოწყობილობა, „ბრიზენტები", „პალატკები", ტომრები და სხვ. ზარალი მილიონობითაა, ცეცხლი დილამდე გრძელდებოდა.

◆ **საგანგებო გამომძიებელი** კომისია ტერიტორიის შემცირების და მდგომარეობის შეცვლის გამო გაუქმდა. ეს დადგენილება თვითონ კომისიამ გამოიტანა და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა. ხოლო წინადადება მიეცა კომისიას მოკლე ხანში შეადგინოს მცირე საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

◆ **ვლ. გობეჩია.** ამ დღეებში დაჭრილი ვლადიმერ გობეჩია საავათმყოფოში გარდაიცვალა. ის დაიბადა 1880 წ. ქუთაისში. აქვე მიიღო მან საშუალო განათლება და შემდეგ დაასრულა ადესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სტუდენტობის დროსვე იგი ჩაერია რევოლიუციონურ მოძრაობაში, მუშაობდა სოც.-რევოლიუციონერთა პარტიაში, რისთვისაც იძულებული შეიქნა არალეგალურათ ეცხოვრა. უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში რევოლიუციის დაწყებამდე იგი საზღვარ-გარეთ ცხოვრობდა. დროებით მთავრობამ იგი დანიშნა ჯერ მეშვიდე არმიის კომისარის თანაშემწეთ და შემდეგ სამხრეთ დასავლეთის ფრონტის კომისრათ. კავკასიაში ჩამოსვლისას იგი დაინიშნა თანდათანობით შემდეგ ადგილებზე: სამხედრო საოლქო კომისრათ, სამხედრო კომისრის ამხანაგათ აკ. ჩხენკელის მთავრობაში, სამხედ.-საზღვაო კომისრათ ე. გეგეჭკორის კაბინეთში და ამ უკანასკნელის გარდაქმნის შემდეგ საზღვაო მინისტრათ. იგი იყო აგრეთვე საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრი.

— გუშინ მოხდა ტრაღიკულათ გარდაცვლილ ვლად. გობეჩიას ნეშტის გამოსვენება მიხეილის საავათმყოფოდან ქვაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენებას დაესწრენ: ეროვნულ საბჭოს, მთავრობის, პოლიტიკურ პარტიათა წევრნი, ნაცნობნი და მეგობარნი. დაკრძალვა მოხდება კვირას, 23 ივნისს დიდუბეში. მთავრობამ დაადგინა: დაკრძალვის ხარჯები თავის თავზე იდოს, მთელი თავის შემადგენლობით დაესწროს და აგრეთვე სამხედრო მინისტრს სიტყვის წარმოთქმა დაევალოს.

◆ **„ბორბას" მეპაეთა კრება** 19 ივნისს მოხდა გაზეთ „ბორბა"-ს მეპაეთა კრება. კრებაზე სხვა საკითხებთან ერთად დაისვა კითხვა თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს „გაზეთის" გამომცემლობა, ს. დ. პარტიის საოლქო კომიტეტს, თუ მეპაიეთ. საგამომცემლო კომისიის წევრი შეეცადა დაეცვა ის აზრი, რომ „ბორბა" უნდა ეკუთვნოდეს მეპაეთ და არა საოლქო კომიტეტსო. მიღებულ იქნა წინადადება, რომ „ბორბა" საოლქო კომიტეტის კუთვნილებაა. პაის მქონენი შეადგენენ მხოლოდ მატერიალურად დამხმარე საზოგადოებას. არჩეულ იქნა ახალი საგამომცემლო კომისია, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ. ზახტაძე, საქმის მწარმოებლათ ვ. წულაძე.

◆ **დამცველმა შტაბმა** დააპატიმრა მე-2 თურქესტანელთა ბატალიონის აფიცერი ბორის იაკუბოვსკი, კ. მეხოვი, შტაბსკაპ. დიმ. კურკინი, პორუჩ. ივ. კამელია, პოდპორუჩიკები: ივ. შევჩენკო და ნიკ. შიროკშინი და პრაპ. თ. დუბროვინი; ქართულ მხედართა კავშირის წევრი ფირან წამალიშვილი პოლკის ხაზინადრის გაძარცვისათვის.

◆ **კოოპერატივების საყურადღებოთ** 25 ამა ივნისისთვის საღამოს 6 საათზე ამ. კავკ. კოოპერატივთა კავშირის სადგომში (მიხეილის პრ. 148) დანიშნულია შეერთებული სხდომა [illegible] რის ზედამხედველ საბჭოსი, მისი სარევიზიო კომისიისა და სარაიონო კავშირთა წარმომადგენლებისა ფრიად საყურადღებო და საჩქარო კითხვების განსახილველად; კავშირის საბჭო სთხოვს ხსენებულ საბჭოსა და კომის. წევრებს და სარაიონო კავშირების წარმომადგენელთ აუცილებლად დაესწრონ ამ სხდომას.

◆ **მოსამსახურე ფარმაცევტთა** პროფესიონალურ კავშირთან დაარსდა კურსები თანაშემწის ხარისხზე აფთიაქის მოწაფეთა მოსამზადებლათ. კურსებზე მეცადინეობა დაიწყება 1 ივლისს, დილის 9 საათზე. გამოცდები მოხდება სექტემბერში. ყოველივე ცნობის მიღება შეიძლება პროფესიონალურ კავშირის გამგეობაში.

◆ **კულტურის და შრომის კავშირის** პირველი საჯარო კრება გაიმართება კვირას, თიბათვის 23-ს, ქართულ კლუბის დარბაზში, შუადღის თორმეტ საათზე, მოხსენებებს წაიკითხავენ: 1) ალ. ასათიანი: „შრომა და მისი მნიშვნელობა ეროვნულ შემოქმედებისათვის" და 2) გ. თ. ჟორდანია: „ჩვენი აწმყო და მომავალი პრაქტიკული საქმიანობა". კრებაზე დასწრების უფლება ყველასა აქვს.

◆ **დღეს,** საღამოს 5 საათზე კავკასიის საექიმო საზოგადოების დარბაზში პუშკინის ბიბლიოთეკის მაღლა სართულში (ალექსანდროვის ბაღი) დანიშნულია მეოთხე რაიონის ს.-დ. მ. პ. წევრთა საზოგადო კრება. მთავრობის თავმჯდომარე ამხ. ნ. რამიშვილი გააკეთებს მოხსენებას მიმდინარე მომენტზე (პოლიტიკურ მდგომარეობაზე). კრებაზე შესვლა შეიძლება მხოლოდ საწევრო ბილეთით.

◆ **მკვლელობა.** 15 ივნისს, დილით 10 საათზე მეშვიდე როტაში, მეორე ქართული მსროლელი პოლკისა, ჩოლოქის ხიდთან მოხდა სამწუხარო შემთხვევა: ჯარისკაცმა მე 7-დე როტისა დიმიტრი პაპავამ თოფის წმენდის დროს მოჰკლა ამავე როტის თავისი გულითადი ამხანაგი ვლადიმერ ნადარეიშვილი.

◆ **ქართულ კლუბში** ხვალ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა „არშინ მალ ალან" ვ. მარგველაშვილის საბენეფისოთ. ასკარა — მ. ჯანოევი, სულთან-ბეგი — ი. რევაზოვი, სულეიმანი — კ. ჩაგუნავა, ვალი — მირველოვი. დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

**კრებები და მიტინგები.**

პარასკევს, 20 ივნისს, საღამოს 7 საათზე შტაბის ბინაზე იწვევს მე-4 რაიონის წითელ-გვარდიელთა შტაბი აღნიშნულ რაიონის წითელ-გვარდიელთა საზოგადო კრებას, ვსთხოვთ ამხანაგებს უსათუოდ და დროზე დაესწრონ კრებას, ვინაიდან ფრიად საყურადღებო კითხვებია გადასაწყვეტი.

— 21 ივნისს საღამოს 4 საათზე დანიშნულია მეექვსე რაიონის მეოთხე სამილიციო უბნის პარტიულ და თანაგრძნობ ქალთა კრება. დღის წესრიგი: ქალთა მცირე კოლექტივის ხელ ახალი არჩევნები და ანგარიში ქალთა მცირე კოლექტივისა. (სახელოსნო სასწავლებელი, ექსარხოსის მოედანი).

— დღეს, 21 ივნისს საღ. 6 საათზე, მეორე კომერციული სასწავლებლის სადგომში მერვე სამილიციო ნაწილში დანიშნულია ამავე უბნის პარტიის წევრების კრება მიმდინარე კითხვებზე.

## პროვინციის ქრონიკა

**სართიჭალის რაიონი.** საერობო საარჩევნო კომისია ამით აცხადებს, რომ რადგან ივლისის ნახევრისათვის მოსალოდნელია საერობო არჩევნების მოხდენა ხსენებულ რაიონში, ამისათვის, თუ რომელიმე ჯგუფს ან პარტიას განზრახვა აქვს გამოვიდეს თავისი სიით, ასეთი სია წარმოდგენილ უნდა იქნეს საარჩევნო კომისიაში (სართიჭალის სარაიონო კომისარიატში) არა უგვიანეს 1 ივლისისა. სიის შედგენისას საჭიროა დაცული იქნას შემდეგი წესები: 1) სხვადასხვა სიაში ერთი და იგივე პირი არ იყოს შეტანილი, 2) სიას თან უნდა ახლდეს შიგ მოხსენებულ კანდიდატებისაგან თანხმობის საბუთი (საკუთარი ხელის მოწერით, ტელეგრამმით ან წერილობით), 3) უნდა ნაჩვენები იყოს კანდიდატის მისამართი, პროფესია და მუდმივი საცოვრებელი ბინა.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მაგიერი ვ. კანჯარაშვილი.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებს გადაბეჭდონ.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**ადერბეიჯანი და აფხაზეთი**

ბოლშევიკები მოდიან ადერბეიჯანით და აფხაზეთით. ამის გამო „ბორბა" სწერს: „ქიურდამირ—განჯაზე ბოლშევიკების შეტევა დიდათ სასიხარულო ამბავია ოსმალეთისათვის. ეს საუკეთესო მიზეზია იმ მოქმედების გასამართლებლათ, რასაც ამ ჟამად ადერბეიჯანში ოსმალეთი ეწევა. ოსმალეთმა ადერბეიჯანს მონობა მოუტანა და ამის გასამართლებელ საბუთათ მუსულმანების თვალში, ისაა, რომ ფაშებმა, ოსმალეთის ჯარებმა, დაიცვეს ეს ხალხი მტრებისაგან. ვინ არიან

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

...გასვრილი, მათ რიგში ხომ რუსები და სომხები არიან, რომელთა წასისიანებაზეა აგებული მუსულმანთა რეაქციონური წრეების მთელი პოლიტიკა. მუსულმანთა ჯარებიც უკან იხევენ და ბალშევიკებიც შემოდიან ადერბეიჯანის შუაგულში და ამით ხალხში ამტკიცებენ იმ შეხედულობას, რომ ოსმალეთის დაუხმარებლათ მათ არ შეუძლიათ გამკლავება. და იმ დროს, როცა თათრები დასავლეთით იხევენ, ევლახთან თავს იყრიან ოსმალთა ჯარების ეშელონები. ადგილობრივი მუსულმანობაც იმედით შეჰყურებს ასკერებს. ასე ამაგრებენ ბალშევიკები ოსმალეთის დესპოტიზმის პოლიტიკას ადერბეიჯანში.

ამ გვარსავე პოლიტიკას ემსახურებიან ბალშევიკები სოხუმის ოლქში. ოსმალეთისთვის მეტად ხელსაყრელია, უკეთუ აფხაზეთი საქართველოს ჩამოშორდება. მაშინ აფხაზეთში ოსმალეთის ფაშები დამკვიდრდებიან, მაგრამ საერთაშორისო შექმნილი მდგომარეობის გამო აფხაზეთში არ შეუძლია ოსმალეთს გაიმეოროს ის, რაც მან ჩაიდინა ბორჩალოში. მას არ შეუძლია იქ აჯნყების მოწყობა. ამაში კი მას ეხმარებიან ბალშევიკების „ბანდები“. ოსმალეთის დესპოტიზმა ხელი გაუწოდა აფხაზეთის მწვანე ველებს, მაგრამ მის ხელში ჩასაგდებათ საჭიროა გარეშე დახმარება. ამ დახმარებას კი უწევენ მას სოხუმზე მომავალი ბალშევიკები. სოხუმში ოსმალეთი ვერ მოიმკის ბალშევიკების შეტევის ნაყოფს ისე როგორც ამას ის მოიმოქმედებს ადერბეიჯანში“.

## სახელმწიფო კონტროლი

სახელმწიფო ყოველ წინდასახულ მიზანს აღწევს შემოსავალ-გასავალის აღრიცხვის, ესე იგი ბიუჯეტის პირნათლათ შესრულებით. მის შემოსავალს შეადგენს სხვადასხვა დარგის გადასახადი, რომელსაც იძლევა მცხოვრებლები. ბიუჯეტის შედგენა და იმისი ცხოვრებაში გატარება მთავრობის საქმეა, მაგრამ იგი, რაც უნდა კარგი და დიდი ცოდნით იყოს აღჭურვილი, მაინც თავს ვერ დააღწევს შეცდომებს და ცალკე პირებს ბოროტმოქმედების ჩადენაც შეუძლიათ.

ხალხი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ყოველი ხარჯი ხელმომჭირნეობით იქნება გაღებული და აუცილებლობით გამოწვეული. ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტს წინასწარ განიხილავს და შემდეგ იმის სათანადო დამტკიცებისა, ყოველივე სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის დარგს რევიზიას გაუკეთებს ცხოვრებაში გატარების დროს განსაკუთრებული უფლებებით აღჭურვილი დაწესებულება—სახელმწიფო კონტროლი. სახელმწიფოში რომ მთელი უძრავ-მოძრავ ქონებათა საქმის წარმოება და მთელი ბიუჯეტის ცხოვრებაში გატარება წესიერათ ხდებოდეს, არ კმარა ამ საქმეში კონტროლის მიერ მხოლოდ შეცდომების და ბოროტმოქმედების გამომჟღავნება. კონტროლი ღებულობს წინასწარ ზომებსაც: დაწესებულებებს აფრთხილებს რჩევით და მათ აწვდის ამა თუ იმ ოპერაციის შესახებ დასაბუთებულ დასკვნას, საიდანაც სჩანს სასარგებლო თუ საზარალო მდგომარეობა ზემო ნაჩვენებ ქონებათა საქმის წარმოებისა. თვით კონტროლი, როგორც სარევიზიო დაწესებულება, არ შეიძლება იყოს მთავრობის გავლენის ქვეშ. ამისათვის ის წარმოადგენს სრულიად განკერძოებულ, დამოუკიდებელ და ცალკე განსაკუთრებულ დაწესებულებას, რომელსაც სარევიზიო ფარგლებში მინიჭებული აქვს სრული უფლება მოქმედებისა. მოქმედება კონტროლისა არ უნდა იყოს დაფარული. მისი სარევიზიო წლიური ანგარიში უნდა იყოს გამოქვეყნებული და ყველასთვის ხელმისაწვდომი. ეს გარემოება ხელს შეუწყობს ბოროტმოქმედების შემცირებას და მოსპობას.

წინასწარი რევიზია არის გარეგნობით და არსებითად გაშინჯვა-შემოწმება წარმოდგენილ სხვადასხვა საბუთების და საქმეების თანახმად გამოანგარიშებულ იმ ხარჯისა, რომელიც უნდა გაღებულ იქნეს რევიზიის შემდეგ. ამ რევიზიის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ წინდაწინ ხარჯის გაღებამდე მჟღავნდება შეცდომები და ბოროტმოქმედება და სარევიზიოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებას გაფრთხილება ეძლევა არ გაიღოს საზარალო ხარჯი. ფაქტიური რევიზია არის გარეგნობით და არსებითად გაშინჯვა-შემოწმება შემოსავალ-გასავლის ოპერაციებისა, სამუშაოს და საქმის წარმოებისა ადგილობრივად თვით მოქმედების შესრულების დროს, რისთვისაც კანტროლის მოხელეს პირადი დასწრება აუცილებლათ საჭიროა ყოველ დარგის ოპერაციის დროს. ამ რევიზიის უპირატესობა ის არის, რომ შეცდომები და ბოროტმოქმედება მჟღავნდება და შეიძლება შეჩერდეს მაშინვე დასაწყისში.

კვალ და კვალ რევიზია. კვალ და კვალ რევიზია არის გარეგნობით და არსებითად გასინჯვა-შემოწმება შემოსავალ-გასავლის ოპერაციებისა სამუშაო და საქმის წარმოებისა ადგილობრივად თვითმოქმედების შესრულების დროს, რისთვისაც კანტროლის მოხელეს პირადი დასწრება აუცილებლად საჭიროა ყოველ დარგის აპერაციის დროს. ამ რევიზიის უპირატესობაა ის არის, რომ შეცდომები დ ბოროტმოქმედება მჟღავნდება და შეიძლება შეჩერდეს მაშინვე დასაწყისში.

კვალ დ კვალ რევიზია არის გარეგნობით დ არსებითად გაშინჯვა-შემოწმება წარმოდგენილ სხვადასხვა საბუთებსა და საქმეებისა, რომელთა თანახმად გამოანგარიშებული ხარჯი უკვე გაღებულია და შემოსავალი მიღებული. ამ რევიზიის უპირატესობა ის არის, რომ ირკვევა ხარჯი დანიშნულ ებისამებრ ნამდვილად არის გაღებული თუ არა, აგრეთვე შემოსავალი სწორად არის მიღებული თუ არა და წინასწარი და ფაქტიური რევიზიის დროს აღმოჩენილნი შეცდომები გასწორებულია თუ არა.

დამთავრებითი რევიზია არის უკვე გათავებული სხვადასხვა ოპერაციების, წარმოების და აგრეთვე ყველა არსებულ რევიზიის შედეგების მთლიანად აღნუსხვა და საბოლოო დასკვნის გამოყვანა. უპირატესობა ამ რევიზიისა მდგომარეობს იმაში, რომ ის ხატავს შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის წარმოების მთელ სურას განსაზღვრულ დროის განმავლობაში და დიდ მასალას იძლევა წლიურ ანგარიშის შესადგენათ.

დ. ცინცაძე.

(დასასრული იქნება).

## სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში

19 ივნისს საქ. ეროვნულ საბჭოს ფრაქციამ მოისმინა საფინანსო კომისიის თავმჯდომარის დ. თოფურიძის მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ. კომისიის აზრით ამიერ-კავკასიის სახელით კიდევ უნდა გამოიცეს ასი მილიონის ბონები თუ ამაზე თანხმობა განაცხადეს სომხების საბჭომ და ადერბეიჯანის მთავრობამ. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველო გამოსცემს საკუთარ ბონებს. იმ სამას მილიონი ბონის პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიცა ამიერ-კავკასიის საჭიროებისათვის, უნდა იკისროს სამივე ერთეულმა (საქართველომ, სომხეთმა და ადერბეიჯანმა). კომისიის აზრით, რუსეთის ბანკი დარჩება ხელუხლებლივ. ფრაქციამ დაავალა ყველა კომისიების თავმჯდომარეებს 20 ივნისს მოახდინონ საერთო კრება და ყველა საჭირბოროტო კითხვებს პასუხი გასცენ. განსაკუთრებით ფინანსიური საკითხი გაარჩიონ. ამ საკითხის მოსაგვარებლათ კომისიას უფლება აქვს დაიქირავოს ექსპერტები. კომისიის თავმჯდომარეს დაევალა ამ მოკლე ხანში წარუდგინოს ფრაქციას ვრცელი მოხსენება ფინანსიური საკითხის შესახებ.

ფრაქციამ მოისმინა აგრეთვე ადგილობრივი მართვა-გამგეობის და თვითმართველობის კომისიის მოკლე მოხსენება, სადაც ნათქვამი იყო, რომ გუბერნიები, როგორც ასეთები, გაუქმდეს თუ დარჩეს ძველებურად. ანუ ერობას გადაეცეს ადმინისტრატიული ფუნქციებიც. ფრაქციამ წინადადება მისცა კომისიის თავმჯდომარე ბ. თევზაიას ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს ამის შესახებ ვრცელი მოხსენება და აგრეთვე მართვა-გამგეობის და თვითმართველობის კანონპროექტი.

შემდეგ ფრაქციამ მოისმინა სამეგრელოდან ჩამოსულ ამხანაგის მოხსენება სამეგრელოს მდგომარეობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ გორდიდან უკვე დაიძრა 600-დე შეიარაღებული „ბანდა“ და სერიოზული ოპერაციების წარმოება აქვთ განზრახული. ამის შესახებ ფრაქციამ დაადგინა: ბიურომ მოელაპარაკოს მთავრობას და 20 ივნისს სასწრაფოდ გაირჩეს სამეგრელოს და ლეჩხუმის საკითხი მთავრობის და წითელ გვარდიის მთავარ შტაბის სხდომაზე.

ფრაქციამ მოისმინა მოხსენება ფინანსთა მინისტრის გ. ჟურულის სამინისტროდან გადადგომის თხოვნის შესახებ და სურვილი გამოსთქვა, რომ ჟურულის სამინისტროში დარჩენა სასურველიაო.

## ბალშევიკები არ სცხრებიან

„ისტორიამ მწარე ბედი არგუნა სამეგრელოს გლეხობას. ზოგიერთ შეუგნებელ ჯარისკაცთა ხულიგნური მოღვაწეობის გამო უბედური სამეგრელოს გლეხობამ რევოლიუციისადმი ღალატი გამოიჩინა. სამეგრელოს შავი ამბები შავი ასოებით აიბეჭდება ისტორიის ფურცლებზე. ერე რათ, რისთვის დაიმსახურა მან ეს სამარცხვინო სახელი? ვინ, ვინ აურია დავთარი სამეგრელოს რევოლიუციონურ გლეხობას?

პასუხი ერთია უპასუხისმგებლო ავანტიურისტებმა სამეგრელოს გლეხობის სახელი ლაფში ამოსვარეს, სწორე გზას აასცდინეს და დალუპისაკენ მიაქანებენ. ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან ყველა ის უბედურება, რომელიც სამეგრელოში დატრიალდა, ისიც იციან, რომ მთავრობის ჯარმა რამოდენიმეჯერ გააკეთა ექსპედიცია სამეგრელოს სხვადასხვა დაბებში ბალშევიკური „ბანდების“ გასაფანტავად და რევოლიუციონური წესრიგის აღსადგენათ. ჩვენ ვიცით, რომ მთავრობის ჯარმა თითქმის ყოველთვის მიაღწია მიზანს და ბალშევიკები დაამარცხა, მაგრამ „ბალშევიზმის“ ლიკვიდაცია არ მოხდა. საქმე იმაშია, რომ, როცა ჩვენი ჯარები გამოვიდოდენ იმ ადგილებიდან, რომელიც წინეთ ბალშევიკებს ეჭირათ ხელში, იმავე დღეს თუ არა, მეორე დღეს მაინც ისევ შემოვიდოდნენ „ბალშევიკები“ და თავის საგმირო საქმეებს განაგრძობდნენ. (კონტრიბუციას აგროვებდენ „ბურჟუებისაგან“). უკანასკნელ ხანებში სენაკის მაზრამ ცოტათი მაინც თავისუფლად ამოისუნთქა. გლეხობა ამბობდა: რომ მომასვენებდენ მეტი არაფერი მინდა, ბალშევიკი-მენშევიკი კი არა ნიკოლოზიც მოვიდეს, ოღონდ კი შფოთი და შიშს გადავრჩე. გვეგონა უკანასკნელ ოპერაციების შემდეგ მაინც დაცხრებოდენ და ღალატზე ხელს აიღებდნენ ეს ვაჟბატონნი, მაგრამ იმედი არ გაგვიმართლდა. მათი მოღალატური მისია დასრულებული არ შეიქნა. ამ ერთი კვირის წინეთ ხმები გავრცელდა სენაკის მაზრაში, რომ ბალშევიკების „ბანდა“ 1000 კაცისაგან შემდგარი კინჩხა-გორდის მთებში იმალება საშა გეგეჭკორის მეთაურობით და მოხერხებულ დროს უცდიან იერიშების მისატანათ. გორდიდან ჩამოსულები არაფერს არ აცხადებდენ, რომ რამე ეთქვათ სიკვდილით ემუქრებოდენ თურმე. მე შევხვდა გორდიდან ჩამოსული მოინტელიგენტო პირი და როცა გორდის ამბები ვკითხე, ყურში ჩუმად ჩამიჩურჩულა: გორდში 1000-დე შეიარაღებული ბალშევიკები არის თავისი შტაბითო, მხოლოდ ნურსად ნუ გაახმაურებ, თორემ მე მომკლავენო. სამწუხაროდ ეს ხმები სავსებით გამართლდა. ბალშევიკების რაზმი საშა გეგეჭკორის მეთაურობით გორდიდან ნაოლალევისაკენ დაიძრა და კვირა დილას რაზმის ნაწილი თავს დაესხა მარტვილის მილიციონერს გ. კვირელავას, რომელსაც ბრალდებოდა ბალშევიკების „ბანდას“ ხელმძღვანელ ადამიას მოკვლა. კვირელავა მამაცურად დაუხვდა. ხიმი იქვე გააგორა და რამოდენიმე დასჭრა. თვითონ კი თავს უშველა და სენაკში მივიდა. საშას რაზმი სალხინოსკენ მიემგზავრება ზუგდიდის მიმართულებით, ზუგდიდში კი ჩვენი ამხ. გ. ფალავას ხელმძღვანელობით ჩვენი რაზმები იარაღს ყრიან მცხოვრებლებს. იქიდან „ბანდის“ ერთი ნაწილი გამოიქცა და როგორც სჩანს გეგეჭკორის რაზმს განზრახული აქვს ამ გამოქცეულ რაზმს შეუერთდეს და სოხუმისკენ გასწიოს. ორშაბათს სენაკიდან მთავრობის რაზმი დაიძრა ნაოლალევის მიმართულებით, ერთი სიტყვით სამეგრელოში „ოთურმას“ თამაში დღემდის გრძელდება. ასე რომ ჩვენი ჯარები შევლენ ბანძა-ნაოლალევსალხინოში, ბალშევიკური „ბანდები“— გაიქცევიან. ჩვენი ჯარები გამობრუნდებიან სენაკ-ქუთაისში, ბალშევიკების ჯარები ისევ შემოვლენ. ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ სამეგრელოს ამბები გათავებულად არ ჩაითვლება თქო, და მოვითხოვდით დროებით ჩაეყენებინა მთავრობას ზოგიერთ მნიშვნელოვან პუნქტებში მცირე რიცხოვანი რაზმები, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა „ბალშევიკური“ მოძრაობის ლიკვიდაცია. დღესაც ამ აზრს ვადგივართ, და მოვითხოვთ ნაოლალევ-ბანძა-წალენჯიხა, ხობი-ზუგდიდში ჩაყენებულ იქნას მუდმივი მცირე რიცხოვანი რაზმები, რომელნიც სავსებით აღადგენენ რევოლიუციონურ წესრიგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ოთურმას თამაში არ მოისპობა. და ეს ეგრეთ წოდებულ ბალშევიკების გამოსვლები და მათ მიერ გამოწვეული ანარქია ჩააზრჩობს ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის სუვერენიტეტს. თუ ჩვენ დროზე ვერ ჩავაქრეთ შინაური ანარქია, ჩვენს საკუთარ სახეს დავკარგავთ. მთელი ყურადღება ამ საკითხის მოგვარებას უნდა მივაქციოთ. აქ დაყოვნება შეუძლებელია. ანარქიის მოსპობას არასოდეს არ ქონია ისეთი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც დღეს. მთავრობამ ყოველი ღონე უნდა იღონოს და ამ საქმეს დროზე უქნას ლიკვიდაცია.

ან—ხანი.

## საქართველ. ფოსტა-ტელ. მოხელეთა ყრილობა

16 ივნისს სხდომას ხსნის თავმჯდომარე ამხ. ვ. შალიკიანი. დღის წესრიგში არის შემდეგი საკითხი: საოლქო კომიტეტის მოხსენება და ყოფილი კავშირის ქონების ბედი. სხდომის გახსნისას თავმჯდომარე კითხულობს ყრილობის სახელზე მოსულ დეპეშებს: 1) ყრილობის წევრი ამხ. გოგიტიშვილი აცნობს ყრილობას, რომ ავადმყოფობის გამო ყრილობაზე სიარული არ შეუძლია. 2) კავკავის ფ.-ტ. ყრილობა ეკითხება: მართალია თუ არა ცნობები, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ითხოვს ფ. ტ. რუს მოხელეებსო. ყრილობამ გამოიტანა დადგენილება: პირველ დეპეშაზე—ეცნობოს ამხ. გოგიტიშვილს, რომ დაუყოვნებლივ გამოგზავნოს კანდიდატი. მეორე დეპეშაზე—ეცნობოს კავკავის ფ.-ტ. ყრილობას, რომ მათ მიერ მიღებული ცნობები სიმართლეს არ შეიცავს და არც არავის განუზრახავს ფ.-ტ. რუსი მოხელეების დათხოვნა.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს თფილისის კანტორის დეპეშების დამტარებლების მიერ შემოტანილ თხოვნას, რომელნიც თხოულობენ მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. აზრთა გაცვლის შემდეგ ყრილობა ირჩევს ხუთი პირისგან შემდგარ დელეგაციას, რომელმაც უნდა იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, საერთოდ ფოსტის უწყების ყველა დარგის მოსამსახურეების აპრილში დაკავებულ 13 დღის ჯამაგირის, „პოსობიის“ სახით მიცემაზე. შემოდის წინადადება: ვინაიდან ყრილობამ ხუთი დღის განმავლობაში ვერ დაამთავრა მუშაობა, პროვინციიდან ჩამოსულ დელეგატებს მიეცეს დღიური ფული: ყრილობას გამოაქვს დადგენილება, რომ მათ დასაკმაყოფილებლად ფოსტის და ტელეგრაფის კომიტეტებიდან, სესხის სახით, გამოიტანონ 10,000 მან. რომლის დარიგება მიენდო საოლქო კომიტეტის ხაზინადარს ამხ. ბოსტაშვილს. შემდეგ ყრილობა გადადის დღის წესრიგის მორიგ საკითხზე—საოლქო კომიტეტის მოხსენება და ყოფილი კავშირის ქონების ბედი. მოხსენებას აკეთებს საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ჭელიძე. ის აღწერს საინიციატივო კომისიის მიერ ყრილობის მოწვევის სურათს და მიზეზს საოლქო კომიტეტის მიერ ყრილობის მოუწვევლობისას. მშირად გადადის პირად შეურაცხყოფაზე. თავმჯდომარე შენიშვნას აძლევს და მოუწოდებს საკითხებზე ილაპარაკოს. მომხსენებელი ცდილობს საოლქო კომიტეტის გამართლებას ქონების შესახებ. მომხსენებელი ამბობს, რომ საოლქო კომიტეტი ქონებას არ გადასცემს საქართველოს ყრილობაზე ამორჩეულ ორგანოს, როგორც ამიერ-კავკასიის კუთვნილებას. დასასრულ აცხადებს, რომ საოლქო კომიტეტი თავის თავს აღიარებს დათხოვნილად და საქმეების ლიკვიდაციისტოვებს სამ წევრს. სიტყვას ღებულობს ამხ. ჭულუხაძე, აკრიტიკებს საოლქო კომიტეტის მოქმედებას, ახსენებს ჭელიძეს შაუმიანის „ზაპისკების“ სოხუმში მამულიაზე გადაცემას და ფაქტებით ამტკიცებს, რომ თფილ ადგილზე მოკალათებული საოლქო კომიტეტი განგებ არ იწვევდა ყრილობას. შურს განცხადება შემოაქვს, რომ მსჯელობა იყოს ყველასათვის გასაგებ ენაზე. თავმჯდომარე უპასუხებს: ყველას უფლება აქვს რომელ ენაზეც ეხერხება იმაზე ილაპარაკოს. აზრთა გაცვლის შემდეგ ყრილობა მივიდა იმ დასკვნაზე, რომ ამოირჩია თარჯიმანი. შემდეგ ლაპარაკობს ამხ. ჭელიშვილი, ქუთაისის კანტორის დაბალ მოსამსახურეების სახელით აკრიტიკებს საოლქო კომიტეტის უზურპატორულ მოქმედებას, საადმინისტრაციო ფუნქციების ხელში ჩაგდებით სრულიად რუსეთის ყრილობაზე შემუშავებულ წესდების დარღვევას და მოუწოდებს ყრილობას, რომ შეჰქმნან წმინდა პროფესიონალური, მოსამსახურეების ინტერესების დამცველი ორგანო, რომელიც კონტროლს გაუწევს ადმინისტრატორების მოქმედებას. ყოფილი კავშირის ქონების შესახებ ორატორი ამბობს, რომ თანახმად პროფესიონალური კავშირების წესდებისა, როდესაც იშლება რომელიმე კავშირი, მისი ქონება გადადის მონათესავე კავშირის ხელში. ჩვენი ყრილობის მიერ ამორჩეული ორგანო კი, იქნება პირდაპირი მემკვიდრე ყოფილი კავშირისა და მოითხოვს ყოფილი კავშირის ქონების ახალ ორგანოს ხელში გადასვლას იმ პირობით, რომ შესაძლებლობის დროს ეს ქონება გაეყოფა ადერბეიჯანის და არარატის რესპუბლიკებში დაარსებულ კავშირებს. თარჯიმანი შეუძლებლათ ცნობს წარმოთქმული სიტყვების დაწვრილებით რუსულათ გადათარგმნას და ორატორი იძულებული ხდება ქართულად ნათქვამი სიტყვა რუსულად გაიმეოროს. პირად საკითხზე სიტყვას ღებულობს ამხ. მასალკინი. პროტესტს აცხადებს მისთვის „იგო პრევოსხოდიტელსტვოს“ წოდებისათვის და ამბობს, რომ მსგავსი „ჩინი“ და ორდენები მას ჯერ არ დაუმსახურებია და აქვს დამსახურებული მხოლოდ სოციალ-დემოკრატის სახელწოდება, რომლითაც იგი ამაყობს. კამათი წყდება. ამხ. ტულუშს შემოაქვს წინადადება: სანამ ყრილობა არ ამოირჩევს ახალ ორგანოს, საოლქო კომიტეტი დარჩეს თავის ადგილზე. ჭელიძე იცავს თავის წინადადებას. ხმის უმრავლესობით გადის ტულუშის წინადადება, რომ სანამ ყრილობა ახალ ორგანოს ამოირჩევდეს, საოლქო კომიტეტი დარჩეს თავის ადგილზე. დასასრულ თავმჯდომარე მოუწოდებს პროვინციიდან ჩამოსულ დელეგატებს დღიური ფულის მისაღებათ მიმართონ ხაზინადარ ბოსტაშვილს და კრებას აცხადებს დახურულად.

სარგისი.

## სახელმწიფო დაწესებულებანი და მომავალი ერობა

26 მაისიდან ცენტრალურ სახელმწიფო დაწესებულებათა სამოქმედო ასპარეზი შემოკლდა. წინად თუ ეს დაწესებულებები ემსახურებოდენ მთელ ამიერ კავკასიას, ეხლა მათი მოქმედება განისაზღვრება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ფარგალით. ამისდა მიხედვით უნდა მოხდეს სახელმწიფო დაწესებულებათა რეორგანიზაცია.

გარდა ამისა რეორგანიზაციას საძირკვლად უნდა დაედოს დროს და პირობებს შესაფერი გადახალისება.

ჩვენს პატარა რესპუბლიკას, არ შეუძლია შეინახოს იმდენი დაწესებულებები, რომელნიც იყვნენ შემქნილნი ბიუროკრატიის მიერ. რეორგანიზაცია უნდა მოხდეს დაუყონებლივ, რადგან იმ სახით და შემადგენლობით დატოვება დაწესებულებათა, რა სახითაც არსებობენ, სარგებლობის მაგიერ ზარალს მისცემენ საქართველოს რესპუბლიკას.

სანამ არსებითად შევეხებოდეთ ამ რეორგანიზაციას, საჭიროა გავითვალისწინოთ, განვსაზღვროთ სახელმწიფო დაწესებულებათა მიზნები და აზრი მათი არსებობისა.

ყოველი დაწესებულება უნდა იყოს მიზანს შეწონილი და მისი არსებობის გასამართლებელი აზრი-მოტივი უნდა ვეძიოთ თვით ცხოვრების პირობებში. არსებობის ნება უნდა ჰქონდეთ მხოლოდ იმ დაწესებულებებს, რომელნიც გამოწვეულნი არიან თვით ცხოვრების მიერ. მათი დანიშნულებაა [illegible] დემოკრატიის ინტერესებს, შე[illegible]დენ ხალხთან და იკისრონ ხალხის ყ[illegible] მოთხოვნილებათა სხვადასხვა დარგში სრული დამაკმაყოფილებითი ფუნქციები.

ამავე რეორგანიზაციის დროს ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში აგრეთვე მომავალი ერთობა, რომელიც უეჭველია უნდა განხორციელდეს და მიიღოს ახლო მომავალში ასე თუ ისე რეალური განსახიერება ცხოვრებაში. და აი, ყოველ დაწესებულებათა შექმნაში და რეორგანიზაციაში უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ ერობის შემოღების დროს მექანიკურად შეიცვალოს ფორმა და უმტკივნელათ გადავიდეს მეურნეობა ახალ ყალიბში.

საჭიროა მოკლეთ გამოვარკვიოთ ერობის პრინციპები.

რა არის ერობა? გარკვეული ფორმა და სახე მეურნეობის ორგანიზაციისა. მიზანი? რაციონალური და მიზან-შეწონილი გამოყენება ყველა ობიექტიურ და სუბიექტიურ პირობებისა გარკვეულ ტერიტორიალურ ერთეულში სამეურნეო დარგთა ყოველმხრივ უმწვერვალესათ განსავითარებლათ, გასაშუქებლათ დემოკრატიის საკეთილდღეოთ. თუ ამას, ამ მიზანს ხშირათ და მომეტებულ წილათ არ ემსახურებოდა რუსეთში ერობა, ეს აიხსნება საზოგადოთ სახელმწიფოებრივი მექანიზმის უვარგისობით. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ რუსეთის ერობის ისტორიაში, რომ რეაქციას მოჰქონდა მეურნეობის დაქვეითება, რეაქცია ასვამდა თავის ბეჭედს ყოველს დარგს და კერძოთ ერობის შემოქმედებასაც, ხელს უბოჭავდა და ნიჭს უცარავდა დემოკრატიის ინიციატივას, რევოლიუციონური ტალღა კი ერობაშიაც ანგრევდა, არტყავდა ბიუროკრატიულს რკალს აზნაურ-მემამულეთა თვითმპყრობელობისას და გზას უხსნიდა დემოკრატიულ ელემენტებს.

დაწვრილებით ისტორიული განხილვა ამ ერობების განვითარების ეტაპებისა რუსეთში შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ სახელმწიფოებრივი მექანიზმის ესა თუ ის სახე ღრმა ბეჭედს ასვამს ყოველ მხარეს ცხოვრებისას, რომ ეს მექანიზმი არის ის ფორმა, რომელშიაც ყალიბდება იძულებით ყოველი დარგი წარმოებისა და მეურნეობისა. ამაშია ძალა და სიმტკიცე სახელმწიფოებრივ მექანიზმისა. შემდეგში კი, როცა ეს ფორმა თვით შიგნით ჰქმნის და ბადებს თავის საწინააღმდეგო და უკმაყოფილო პირობებს, რაც თვით ცხოვრებაში ისახება შეუფერებლობა საწარმოვო ფორმისა და საწარმოო ძალთა, მაშინ ხდება იძულებით გარდაქმნა ფორმისა საწარმოვო ძალთა განწყობილების შესაფერათ.

დღეს ჩვენ უნდა ავუღოთ ალღო ცხოვრებას, შევისწავლოთ დაკვირვებით დემოკრატიის ეკონომიკა, მისწრაფებანი მისი სულისკვეთება და შევუდგეთ დაწესებულებათა რეორ[illegible]ბების თვალსაზრისით. რევოლიუციამ დღეს ჩვენ მოგვცა დემოკრატიული რესპუბლიკა და, მაშასადამე, მთელი სახელმწიფოებრივი მექანიზმი უნდა იყოს აშენებული ამ სახელმწიფოებრივსავე საძირკველზე. თუ ეს ასე არ იქნა, თუ რამე დაწესებულება არ შეუთანხმეთ, არ შევუწონეთ ამ დემოკრატიულ რესპუბლიკის არსებულ ფორმას, ეს დაწესებულება კი არ განამტკიცებს დემოკრატიულ რესპუბლიკის მექანიზმს, არამედ ხელს შეუშლის და დაარღვევს სახელმწიფოებრივ [illegible]. მაშასადამე, ყოველი დაწესებ[illegible]ბა უნდა იყოს ერთი ტიპისა, განუყოფელი, განუცალკევებელი, ერთი ერთმანეთის შემსები, რომ საზოგადოდ მივიღოთ იმგვარი ორგანიზაცია, იმგვარი მექანიკურად და არსებითად დაკავშირებული ნაწილებიდან ერთეული, რომელიც თავის შემოქმედებით დაბოლოს მოგვცემს დემოკრატიულ რესპუბლიკის განხორციელებას, კონსტრუქციას.

წინად, რუსეთის ერობაში თუ უპირატესობა ეძლეოდა ცენზიანებს, მდიდრებს თავ.-აზნ. მემამულეებს, თუ გაუქმებული იყო მცირე საერობო ერთეულის არსებობა, დღეს როცა დემოკრატიამ მოიპოვა უფლება ოთხ ფორმულიან ამორჩევისა, ლაპარაკი ძალდატანებით პოლიტიკაზე უნდა უადგო იყოს. უმრავლესობის ნება ხორციელდება, უმცირესობის სურვილები და ინტერესები ექვემდებარებიან უმრავლესობის უფლებას. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ერობა იქნება სრული დემოკრატიული.

რა ტიპისა უნდა იყოს ერობა?

ვ. ლაშხაური.

## საად.-მამულო რეფორმა

**დიდი-ჯიხაიში.** 4 ივნისს აქ გვეწვია სამტრედიის რაიონის მიწის ჩამომრთმევი კომისია. სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის მამულათ იქნა აღიარებული დიმ. ჩხიკვიშვილის 28 დესეტინა მიწა. ბესარიონ და ექვთიმე ვაშაკიძეების, ქ. ლექავას და მ. ლექავას—20 დესეტინა. კომისიის მუშაობა გააძნელა შემდეგმა გარემოებამ: აღნიშნულ მემამულეებს გარდა ყველა წვრილი მემამულენი არიან და თუ ვინმეს ნორმაზე მეტი აქვს, თითქმის ყველა ოჯახურ მდგომარეობის გამორკვევას და გადამიჯვნასაც კი თხოულობს. ამის გამო კომისიამ 13 ივნისს მოიწვია ადგილობრივი საადგილმამულო კომისია და ორგანიზაციების წარმომადგენლები და გამართა თათბირი. დიდი კამათისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ ვინაიდან პირწმინდათ ჩამორთმევას უნდება ძალიან დიდი დრო და ამავე დროს მთელ რაიონში გვიანდება დიდ მემამულეებისაგან მიწის ჩამორთმევა, ამისთვის ჯერჯერობით ჩამოერთვას 40 ქცევაზე მეტ მქონე მემამულეებს ნორმის ქვეშ მიწა მთელ რაიონში და შემდეგ დაუბრუნდეს წვრილი მემამულეების მიწის ჩამორთმევას.

---

**ხუფსა** (გურია). სუფსის რაიონში ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას მიწების მიმღები კომისია. საგუბერნიო საადგილმამულო გამგეობამ მიმღებ კომისიის თავმჯდომარეთ დანიშნა ბენიამინ ვლასის ძე კვაჭაძე, რომელმაც უკვე მიიღო შესაფერი განკარგულებანი და ინსტრუქციები. საჭიროა ხალხმა ასეთ დიად საქმეს ხელი შეუწყოს როგორც მუშების დროზე მიცემით, ისე სხვებით, რომ დროზე ეღირსონ აგრარული საკითხის საბოლოოთ გადაჭრას.

## გენ. კორნილოვის მოხალისეთა არმია

ერთ ფურცელში, რომელიც გამოცემულია მოხალისეთა არმიის სახელით და ხელმოწერილია ამ არმიის [illegible] გენ.-ლეიტენანტის დენიკინის მიერ, სხვათა შორის, საყურადღებო ცნობებია მოყვანილი ამ არმიის მოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, ზოგიერთი ამგვარი ცნობები თუმცა ახლო წარსულს ეკუთვნიან, მაგრამ მაინც არ იქნებიან ინტერეს მოკლებული ჩვენი მკითხველებისათვის:

ამ ფურცელში სხვათა შორის სწერია: „სახელმწიფოს მართველობის წესს ჯარის ხელმძღვანელნი კორნილოვი და ალექსეევი არ განსაზღვრავდენ. ამ საკითხის გადაწყვეტას ანდობდენ დამფუძნებელ კრებას, როცა ის სახელმწიფოში წეს-რიგის დამყარების შემდეგ შეიკრიბებოდა. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად საჭირო იყო ჯარის შესაკრები და შესაჯგუფებელი ადგილი. პირველად ამ საქმისთვის არჩეულ იქნა დონის ოლქი, შემდეგ კი მოქმედება უნდა გავრცელებულიყო მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირის ტერიტორიაზე. აქედან მოხალისეთა არმია უნდა წასულიყო ისტორიულის გზით მოსკოვზე და ვოლგაზე. ეს განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. დონის ოლქი არ სცნობდა საბჭოს მთავრობას და ამავე დროს დონის ჯარები თვითონებურათ სტოვებდენ პოზიციებს და მიდიოდენ სოფლებში, დონის სახღვრებ

პოლიტიკური მოსაზრებებით დათხოვნილებს მაინც აძლევენ ერთდროულ დახმარებებს. ასე ადმინისტრატორებმა რამოდენიმე ათასობით მიიღეს.

საქარელი. მ.

## ჯარის-კაცთა წერილები

ქართული საპიორი ბატალიონი. აგერ ერთი კვირაა, რაც ნატანებს შუა სანგრების კეთება გავათავეთ და დავბრუნდით თფილისში ჩვენ ბატალიონში. აქ ახლათ ჩაწერილი ამხანაგები დაგვხვდა. ამ ხანათ ბატალიონი იმყოფება ყოფილ სამხედრო სასწავლებლის უკან ყაზარმებში. მიუხედავათ იმისა, რომ ბატალიონში უმეტესი ნაწილი სტუდენტობა და მოსწავლეებია, სრულიად სისუფთავეს ყურადღებას არ აქცევენ. ჩვენ სამზარეულოში და შიგ კაზარმაშიაც კაცი ცხვირს ვერ შეჰყოფს. დაკითხვაზე ამხანაგები გიპასუხებენ: „რა მენაღვლება, ნახევარ საათს მოვალ სადილათ და მერე წავალ ისევო“, მართლაც ასეა; უმეტესი ნაწილი მარტო საჭმელისთვის და ტანისამოსისთვის არიან ჩაწერილი. ბატალ მორიგეობას სრულიად არ ეწევიან. ეს ყმაწვილები იმას არ გრძნობენ, რომ იმათ ამხანაგებს იმათ მაგივრათ უხდება წვალება და ორის მაგივრათ კვირაში ოთხჯერ უხდებათ მორიგათ დადგომა. საჭიროა ასეთ გარემოებას ყურადღება მიექცეს როგორც ამხანაგების მხრით, აგრეთვე ჩვენი ბატალიონის უფროსის და სხვა ოფიცრების მხრითაც.

## ს.-დემ. პარტიაში

## მიხ. დ. თოფურიძე

## რკინის გზაზე

## პროვინცია

## წერილი რედ. მიმართ

კომიტეტს დამნაშავეთა ღირსეულად დასასჯელათ. ყველა მოქალაქეთა ვალია არჩეულ კომისიას ხელი შეუწყოს ამ ბოროტების აღმოჩენაში, ამისათვის კომიტეტი სთხოვს ყველას, ვისაც კი საქმე ქონდა ასეთ მოსამსახურეებთან დაუყოვნებლივ აცნობოს კომისიას: თავისი ვინაობა და ადრესი; სახელი და გვარი იმ მოსამსახურეებისა, რომელიც ფულებს აძლევინებდა და გადახდევნებული ფულის რაოდენობა. ასეთი ცნობის მოწოდებით მოქალაქენი დიდ სამსახურს გაუწევენ რკინის გზის იმ მოსამსახურეებს, რომელთაც გულწრფელათ და სინდისიერათ აღასრულეს თავიანთი მოვალეობა საერთო უბედურების დროს და მათ ნაძირალა ამხანაგები წყალობით, ზოგიერთების სამართლიანი გზის წყრომა დაიმსახურეს. კომისიის მისამართი: სამტრედია, ბათუმის რკინის გზის ალმ. კომიტეტი. (საგამომძიებლო კომისიისათვის).

ვთხოვ ყველა ქართულ რუსულ გაზეთებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

ბათუმის რკინის გზის ალმ. კომიტეტის თავმჯდომარე ... ნინიძე.

## ქართული ფულის ფონდი

## ცნობები


## ქალთა კოლექტივი

მე-6 რაიონის იმყოფება ... ლექტივის ბინაზე (მოედანი ტელეფონი 10—96). ბიურო ღიაა სამშაბათობით საღამოს 5—6 საათამდე.

მე 4 მცირე კოლექტივი მეექვსე რაიონისა იმყოფება სახელოსნო სასწავლებლის შენობაში. ტელეფონი 3—99.

მე 5 მცირე კოლექტივი მეექვსე რაიონისა იმყოფება პუშკინის სასწავლებლის შენობაში (ხარფუხი). ტელეფონი 13—64.

გაიხსნა თვალის სამკურნალო
(მუდმივი საწოლები)
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის ლინიკის ყოფილი ასისენტის

## ექიმ დონხინისა.

იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი ვ. კედიაშვილი.

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4 კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

მედ. ქალი რ. ბ. შიშლო ხაზაშვილისა

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82. ტელ. № 9—26.

ექიმი ი. ზ. კონიევი.

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ...

ექიმი ა. დ. ციციშვილი

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

ექიმი ზ. მ. მუხაძე

იღებს სალოსტაქირო ავათმყოფთ საღამოს ...—... საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: ... მიხეილის ქ. № 57; ... შენობის პირდაპირ, ... ტელ. № 5—...

## საკონსულტაციო-დიაგნოსტური კაბინეტი
ყოველგვარი ავადმყოფობისათვის
## დოქტორ ზ. ვ. ზარხუდაროვისა.

კაბინეტთან სდგება კონსილიუმი ექიმ სპეციალისტებისა, ავადმყოფთა წინდაწინვე მომზადებით.

მ უ დ მ ი ვ ი   კ ო ნ ს უ ლ ტ ა ნ ტ ე ბ ი:

ა. ა. არუთინოვი, ნ. მ. ასპიროვი, ნ. ნ. ვესელოვზოროვი, ტ. ი. გეორქ ბეგიანი,
ი. ზ. გოფაძე, ა. ა. ზარგარიანცი, გ. მ. მაკაროვი, კ. ლ. მარკევიჩი,
მ. ე. მზარეულოვი, გ. ს. პონდოევი, ა. რ. ფიშერი, გ. მ. ჩაჩიკიანი, ს. პ. შახ პარონიანი.

ავადმყოფთა სურვილის თანახმად კონსილიუმზე მოწვეულნი იქნებიან მათ მიერ დასახელებული სხვა გარეშე ექიმებიც.

ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე დილის 11—1 საათ. საღ. 5—7 საათ.
აბასაბაცკის მოედანი № 5 (ერევნის მოედ. ახლო) ტელეფ. 14—66. 100-2